

კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის
მაგისტრატურის დებულება
თავი I

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. დებულების რეგულირების სფერო

წინამდებარე დებულება შემუშავებულია “უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად და აწესრიგებს კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის მაგისტრატურის ფუნქციონირების პრინციპებსა და წესს, აგრეთვე კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლაში სამაგისტრო პროგრამის განხორციელებისა და მაგისტრის აკადემიური ხარისხის მიანიჭებისათვის აუცილებელ მინიმალურ სტანდარტს.

მუხლი 2. მაგისტრატურის დანიშნულება და მიზანი

1. კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის მაგისტრატურა არის აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მოიცავს სასწავლო, სამეცნიერო კვლევისა და პრაქტიკულ კომპონენტებს.
2. კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის მაგისტრატურა მიზნად ისახავს სამართალმცოდნეობის ბაკალავრის ცოდნის გაღრმავებას ზოგადად დარგში ან მისი ცალკეული მიმართულებებით, ასევე მკვლევარის მომზადებას.

თავი II
მაგისტრატურაში სწავლა

მუხლი 3. სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

1. სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის საერთო მოცულობა შეადგენს 120 ECTS კრედიტს. პროგრამა შედგება ორი თანმიმდევრული ნაწილისაგან, რომელთაგან თითოეულის მოცულობა შეადგენს 60 ECTS კრედიტს.
2. პროგრამის პირველი ნაწილი მოიცავს პროგრამით განსაზღვრულ სასწავლო, სპეციალიზაციის, პროფესიულ და პრაქტიკულ კომპონენტებს. პროგრამის პირველი ნაწილის მოთხოვნების სრულად შესრულებისა და 60 ECTS კრედიტის დაგროვების შედეგად სტუდენტს ენიჭება კვალიფიკაცია — სამართლის მაგისტრი (Master of Laws — LL.M.).
3. პროგრამის მეორე ნაწილი მოიცავს პროგრამით განსაზღვრულ კვლევით და ანალიტიკურ კომპონენტებს, მათ შორის სამაგისტრო ნაშრომის მომზადებასა და დაცვას. პროგრამის მეორე ნაწილის მოთხოვნების სრულად შესრულების, დამატებით 60 ECTS კრედიტის დაგროვებისა და სამაგისტრო ნაშრომის წარმატებით დაცვის შედეგად სტუდენტს ენიჭება კვალიფიკაცია — კვლევის მაგისტრი სამართალში (Master of Research in Law).
4. პროგრამის პირველი ნაწილის დასრულება წარმოადგენს პროგრამის მეორე ნაწილზე სწავლის გაგრძელების წინაპირობას, გარდა ამ დებულებით გათვალისწინებული შემთხვევისა, როდესაც პირს პროგრამის პირველი ნაწილის შესაბამისი სწავლის შედეგები მიღწეული და კრედიტები მოპოვებული აქვს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.
5. პროგრამის თითოეული ნაწილის სტრუქტურა, კომპონენტები, სწავლის შედეგები, კრედიტების განაწილება, დაშვების წინაპირობები და შეფასების ფორმები განისაზღვრება შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით.

მუხლი 4. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

1. სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამის ნაწილზე ჩარიცხვა ხორციელდება წინასწარ გამოცხადებული ადგილების ფარგლებში, კონკურსის წესით.
2. პროგრამის პირველ ნაწილზე დაშვების წინაპირობებია:
 - ა) სამართლის ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის ფლობა;

- ბ) საერთო სამაგისტრო გამოცდის წარმატებით ჩაბარება, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა;
- გ) ინგლისური ენის არანაკლებ B2 დონეზე ცოდნის დადასტურება;
- დ) უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული გამოცდის ან/და გასაუბრების წარმატებით გავლა;
- ე) საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სხვა წინაპირობების დაკმაყოფილება.
3. პროგრამის პირველი ნაწილის დასრულების შემდეგ სტუდენტი უფლებამოსილია მეორე ნაწილზე სწავლა საერთო სამაგისტრო გამოცდის ხელახლა ჩაბარების გარეშე გააგრძელოს, თუ პროგრამის პირველ ნაწილზე მისი ჩარიცხვიდან არ გასულა ხუთი წელი და აკმაყოფილებს პროგრამის მეორე ნაწილზე დაშვების სხვა წინაპირობებს.
4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული ხუთწლიანი ვადის გასვლის შემდეგ პროგრამის მეორე ნაწილზე ჩარიცხვის მსურველი ვალდებულია ჩააბაროს საერთო სამაგისტრო გამოცდა და დააკმაყოფილოს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სხვა წინაპირობები.
5. სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში იმავე ან შესაბამისი არანაკლებ 120-კრედიტიანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის პირველი 60 ECTS კრედიტის მოპოვების შემთხვევაში პროგრამის მეორე ნაწილზე ჩარიცხვა დასაშვებია საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარების, მოპოვებული კრედიტების აღიარებისა და საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სხვა წინაპირობების დაკმაყოფილების საფუძველზე.
6. ინგლისური ენის ცოდნა დასტურდება შესაბამისი საერთაშორისო სერტიფიკატით, უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული შიდა გამოცდით ან საგანმანათლებლო პროგრამითა და უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა დოკუმენტით. ინგლისური ენის გამოცდისგან თავისუფლდება პირი, რომელსაც ინგლისურ ენაზე გავლილი აქვს უმაღლესი განათლების შესაბამისი პროგრამა ან პროგრამის ნაწილი და აღნიშნული დასტურდება სათანადო დოკუმენტით.
7. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში პროგრამაზე საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარების გარეშე ჩარიცხვა ხორციელდება კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესით.
8. პროგრამის შესაბამის ნაწილზე სტუდენტის ჩარიცხვა და სტატუსის მოპოვება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

მუხლი 5. საბუთების მიღება

- სამართლის სამაგისტრო პროგრამის შესაბამის ნაწილზე სწავლის მსურველმა უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრულ ვადაში უნდა წარადგინოს:
 - განცხადება უნივერსიტეტის პრეზიდენტის სახელზე;
 - პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
 - ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტისა და მისი დანართის დამოწმებული ასლები ;
 - ფოტოსურათი ელექტრონული ფორმით;
 - სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებული პირის მიერ — სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტი;
 - საერთო სამაგისტრო გამოცდის წარმატებით ჩაბარების დამადასტურებელი სერტიფიკატი ან საერთო სამაგისტრო გამოცდაზე მიღებული ქულების ამონაბეჭდი;
 - ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი, თუ ასეთი დოკუმენტის წარდგენა საჭიროა ამ დებულების მე-4 მუხლის შესაბამისად;
 - თუ უნივერსიტეტის მიერ მოთხოვნილი სხვა დოკუმენტი, თუ მისი წარდგენის აუცილებლობა გამომდინარეობს საქართველოს კანონმდებლობიდან ან უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტებიდან.
- პროგრამის მეორე ნაწილზე სწავლის მსურველმა, ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ დოკუმენტებთან ერთად, უნდა წარადგინოს პროგრამის პირველი ნაწილის ფარგლებში არანაკლებ 60 ECTS კრედიტის დაგროვებისა და შესაბამისი სწავლის შედეგების მიღწევის დამადასტურებელი დოკუმენტი და აკადემიური ჩანაწერი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აღნიშნული ინფორმაცია ან დოკუმენტები უკვე დაცულია უნივერსიტეტში.
- თუ პროგრამის მეორე ნაწილზე სწავლის მსურველს პროგრამის პირველი ნაწილი სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში აქვს გავლილი, იგი დამატებით წარადგენს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის, გავლილი სასწავლო კომპონენტების, დაგროვებული

კრედიტების, მიღებული შეფასებებისა და მიღწეული სწავლის შედეგების შესახებ ინფორმაციას, რომელიც აუცილებელია კრედიტებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის დასადგენად.

4. უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში, პირი ვალდებულია ასევე წარადგინოს აღნიშნული განათლების საქართველოში აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტი, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევისა. უცხოენოვანი დოკუმენტები წარდგენილი უნდა იქნეს კანონმდებლობით დადგენილი წესით დამოწმებულ ქართულენოვან თარგმანთან ერთად.

5. უნივერსიტეტი უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში, მოსთხოვოს პირს წარდგენილი დოკუმენტების დედნების ან სათანადო წესით დამოწმებული ასლების წარმოდგენა და მათში მოცემული ინფორმაციის გადამოწმება.

6. თუ წარმოდგენილი დოკუმენტაცია არასრულია ან შეიცავს გამოსწორებად ხარვეზს, პირს ეძლევა უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული გონივრული ვადა დოკუმენტაციის შესავსებად ან ხარვეზის გამოსასწორებლად. დადგენილ ვადაში ხარვეზის გამოუსწორებლობა შეიძლება გახდეს განცხადების განუხილველად დატოვების საფუძველი.

7. უნივერსიტეტში უკვე დაცული ან კანონმდებლობით გათვალისწინებული ელექტრონული სისტემის მეშვეობით უნივერსიტეტისთვის ხელმისაწვდომი დოკუმენტის ან ინფორმაციის განმეორებით წარდგენა არ მოითხოვება.

მუხლი 6. გასაუბრებაზე დაშვება

1. პროგრამის შესაბამის ნაწილზე მისაღებ გასაუბრებაზე დაიშვება კანდიდატი, რომელიც დადგენილ ვადაში წარადგენს მოთხოვნილ დოკუმენტაციას და აკმაყოფილებს პროგრამით განსაზღვრულ ჩარიცხვის წინაპირობებს.

2. პროგრამის პირველ ნაწილზე ჩარიცხვის მსურველი გადის კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის მიერ ორგანიზებულ გასაუბრებას. გასაუბრების მიზანია კანდიდატის დარგობრივი ცოდნის, სამართლებრივი საკითხების გააზრების, ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების, სამართლებრივი არგუმენტაციისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარების, აგრეთვე პროგრამაზე სწავლის მოტივაციისა და პროფესიული მიზნების შეფასება.

3. პროგრამის მეორე ნაწილზე სწავლის გაგრძელების ან ჩარიცხვის მსურველი გადის კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის სამაგისტრო მიმღებ კომისიასთან სპეციალობაში გასაუბრებას. გასაუბრების მიზანია კანდიდატის მიერ პროგრამის პირველი ნაწილის შესაბამისი სწავლის შედეგების მიღწევის, დარგობრივი ცოდნის, კვლევითი და ანალიტიკური უნარების, სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისათვის მზაობისა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების გააზრების შეფასება.

4. პროგრამის პირველ ან მეორე ნაწილზე ჩარიცხვის მსურველი, რომელსაც ინგლისური ენის არანაკლებ B2 დონეზე ცოდნა პროგრამით განსაზღვრული შესაბამისი დოკუმენტით დადასტურებული არ აქვს და არც ინგლისური ენის გამოცდისგან გათავისუფლების საფუძველი გააჩნია, ვალდებულია გაიაროს უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული ინგლისური ენის შიდა გამოცდა.

5. ინგლისური ენის შიდა გამოცდით მოწმდება კანდიდატის მიერ ინგლისური ენის არანაკლებ B2 დონეზე ფლობა. გამოცდა მოიცავს კითხვის, წერისა და ენობრივი კომპეტენციის შესაფასებელ დავალებებს. გამოცდის ჩატარებისა და შეფასების წესი განისაზღვრება უნივერსიტეტის შესაბამისი სამართლებრივი აქტით.

6. გამოცდას ან/და გასაუბრებას ატარებს უნივერსიტეტის შესაბამისი სამართლებრივი აქტით შექმნილი მიმღები კომისია. კომისიის თითოეული წევრი კანდიდატს წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების საფუძველზე დამოუკიდებლად აფასებს და ავსებს ინდივიდუალური შეფასების ფორმას.

7. პროგრამის პირველ ნაწილზე ჩარიცხვის მსურველის გასაუბრების შეფასების კრიტერიუმები, ქულათა განაწილება და შეფასების ინდიკატორები განისაზღვრება ამ დებულების დანართ №6-ის პირველი ნაწილით, ხოლო პროგრამის მეორე ნაწილზე სწავლის გაგრძელების ან ჩარიცხვის მსურველის სპეციალობაში გასაუბრების შეფასების კრიტერიუმები, ქულათა განაწილება და შეფასების ინდიკატორები — დანართ №6-ის მეორე ნაწილით.

8. კანდიდატის საბოლოო შეფასება განისაზღვრება კომისიის წევრთა მიერ მინიჭებული ქულების საშუალო არითმეტიკულის საფუძველზე და მრგვალდება მეასედის სიზუსტით. გამოცდა ან/და გასაუბრება წარმატებით გავლილად ჩაითვლება, თუ კანდიდატი 100-ქულიანი შეფასების

სისტემით მიიღებს არანაკლებ 51 ქულას და, შესაბამის შემთხვევაში, დააკმაყოფილებს ამ დებულების სათანადო დანართით განსაზღვრულ დამატებით მინიმალურ მოთხოვნას.

9. თუ კომისიის წევრთა მიერ კანდიდატისათვის მინიჭებულ უმაღლეს და უმცირეს შეფასებებს შორის სხვაობა 30 ან მეტი ქულაა, კომისია კანდიდატის შეფასებას ხელახლა განიხილავს. განხილვის შედეგი და მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთება აისახება კომისიის შემაჯამებელ ოქმში.

10. გასაუბრების შედეგები, კანდიდატის საბოლოო შეფასება და კომისიის გადაწყვეტილება აისახება მიმღები კომისიის შემაჯამებელ ოქმში.

მუხლი 7. პროგრამაზე ჩარიცხვა და მეორე ნაწილზე სწავლის გაგრძელება

1. პროგრამის შესაბამის ნაწილზე ჩარიცხვის ან პროგრამის მეორე ნაწილზე სწავლის გაგრძელების უფლება აქვს კანდიდატს, რომელიც აკმაყოფილებს პროგრამით განსაზღვრულ დაშვების წინაპირობებს და წარმატებით გაივლის ამ დებულების მე-6 მუხლით გათვალისწინებულ გამოცდას ან/და გასაუბრებას.
2. კონკურსის არსებობის შემთხვევაში პროგრამის შესაბამის ნაწილზე ჩარიცხვის ან პროგრამის მეორე ნაწილზე სწავლის გაგრძელების უფლება მოიპოვება კანდიდატთა საბოლოო შეფასებების საფუძველზე შედგენილი რანჟირების შესაბამისად, წინასწარ გამოცხადებული ადგილების რაოდენობის ფარგლებში.
3. კავკასიის უნივერსიტეტში პროგრამის პირველი ნაწილის დასრულება ავტომატურად არ წარმოშობს პროგრამის მეორე ნაწილზე სწავლის გაგრძელების უფლებას. სტუდენტი ვალდებულია დააკმაყოფილოს პროგრამის მეორე ნაწილზე დაშვების ყველა წინაპირობა.
4. პროგრამის პირველ ან მეორე ნაწილზე პირის ჩარიცხვა, აგრეთვე პროგრამის მეორე ნაწილზე სწავლის გაგრძელება ფორმდება უნივერსიტეტის შესაბამისი ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით.
5. უნივერსიტეტსა და სტუდენტს შორის იდება სასწავლო ხელშეკრულება.
6. სტუდენტი სარგებლობს საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტებით მინიჭებული უფლებებით და ვალდებულია შეასრულოს საქართველოს კანონმდებლობით, საგანმანათლებლო პროგრამით, სასწავლო ხელშეკრულებითა და უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული მოვალეობები.

მუხლი 8. სემესტრული რეგისტრაცია, რეგისტრაციის გაუქმება

მაგისტრანტის მიერ სემესტრული რეგისტრაციის გავლა ნიშნავს სტუდენტის მზადყოფნას მონაწილეობა მიიღოს სასწავლო პროცესში. სემესტრული რეგისტრაციის გაუქმების ან არჩეული საგნის შეცვლის მოთხოვნა დასაშვებია სასწავლო პროცესის დაწყებიდან ორი კვირის განმავლობაში. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ იგი კარგავს გადახდილი თანხის დაბრუნებისა და/ან ამ თანხის მომდევნო სემესტრში გამოყენების უფლებას. კვლევით კომპონენტზე რეგისტრაცია არ უქმდება.

მუხლი 9. სტუდენტის სტატუსის შეჩერება

მაგისტრანტისათვის სტუდენტის სტატუსი შეჩერების საფუძველები განსაზღვრულია სტუდენტის სტატუსის შესახებ დებულებით.

მუხლი 10. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა

სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა განსაზღვრულია სტუდენტის სტატუსის შესახებ დებულებით.

თავი III

სამაგისტრო პროგრამა

მუხლი 11. სამაგისტრო პროგრამის შემუშავება და წარდგენა

1. სამაგისტრო პროგრამის შემუშავება ხდება:
 - ა. უნივერსიტეტის პრეზიდენტის ბრძანებით განსაზღვრული პირის ან პირთა ჯგუფის მიერ;
 - ბ. პარტნიორ უნივერსიტეტთან ერთად.
2. სამაგისტრო პროგრამას ხელმძღვანელობს (თანახელმძღვანელობს) კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის პროფესორი, ასოცირებული პროფესორი .

3. სამაგისტრო პროგრამის პროექტს და პროგრამის ხელმძღვანელის (თანახელმძღვანელის) კანდიდატურას სამართლის სკოლის დეკანი განსახილველად წარუდგენს სამართლის სკოლის საბჭოს. სამართლის სკოლის საბჭოს დადებითი დასკვნის შემთხვევაში პროგრამა და პროგრამის ხელმძღვანელის (თანახელმძღვანელის) კანდიდატურა ექსპერტიზისათვის გაეგზავნება ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტს და დადებითი დასკვნის შემთხვევაში დასამტკიცებლად წარედგინება კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტს.
4. სამაგისტრო პროგრამას თან უნდა ერთვოდეს სამაგისტრო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო კურსების სილაბუსები.
5. სამაგისტრო პროგრამის განხორციელებაში შეიძლება მონაწილეობდეს:
 - ა. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი;
 - ბ. პარტნიორი სასწავლო ან სამეცნიერო დაწესებულების მეცნიერ-მკვლევარი, სამართლის დოქტორი;
 - გ. სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული შესაბამისი აკადემიური ხარისხის მქონე მოწვეული სპეციალისტი.
6. სამაგისტრო პროგრამა უნდა მოიცავდეს:
 - ა. სამაგისტრო პროგრამის დასახელებას;
 - ბ. მისანიჭებელ აკადემიურ ხარისხს;
 - გ. ინფორმაციას სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ის შესახებ;
 - დ. სამაგისტრო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათებას (სამაგისტრო პროგრამის მიზანი და აქტუალობა, მოსალოდნელი შედეგები, პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულის დარგობრივი კვალიფიკაცია, ცოდნა, კომპეტენცია და უნარ-ჩვევები, დასაქმების სფეროები);
 - ე. სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობებს;
 - ვ. სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურას;
 - ზ. კვლევითი კომპონენტის დეტალურ აღწერას;
 - თ. ინფორმაციას პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური რესურსების შესახებ;
 - ი. ინფორმაციას პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შესახებ.
7. პარტნიორი უნივერსიტეტის მონაწილეობით პროგრამის შემუშავებისას, გარდა ამ მუხლის მე-6 პუნქტისა, პროგრამაში დამატებით უნდა მიეთითოს პარტნიორი უნივერსიტეტი და დაერთოს ხელშეკრულება პარტნიორ უნივერსიტეტთან ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის განხორციელების თაობაზე.

მუხლი 12. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა და სტრუქტურა

1. სამართლის სკოლის სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა შეადგენს 120 ECTS კრედიტს. პროგრამა შედგება ორი თანმიმდევრული ნაწილისგან, რომელთაგან თითოეულის მოცულობა შეადგენს 60 ECTS კრედიტს. პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობაა ორი აკადემიური წელი, ხოლო თითოეული ნაწილის სტანდარტული ხანგრძლივობა – ერთი აკადემიური წელი.
2. სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, მიუხედავად ორი თანმიმდევრული ნაწილისგან შემდგარი სტრუქტურისა, წარმოადგენს ერთიან საგანმანათლებლო პროგრამას. პროგრამის ნაწილები უზრუნველყოფს სწავლის შედეგებისა და შესაბამისი კომპეტენციების ეტაპობრივ, თანმიმდევრულ და ურთიერთდაკავშირებულ განვითარებას.
3. სტუდენტის სასწავლო დატვირთვა ერთი აკადემიური წლის განმავლობაში, როგორც წესი, შეადგენს 60 ECTS კრედიტს და არ უნდა აღემატებოდეს 75 ECTS კრედიტს. ერთი ECTS კრედიტი უდრის 25 საათს და მოიცავს როგორც სტუდენტის საკონტაქტო დატვირთვას, ისე დამოუკიდებელი მუშაობისათვის განკუთვნილ დროს.
4. პროგრამის პირველი ნაწილი – პროფესიული და სპეციალიზაციის ნაწილი – მოიცავს თეორიულ, პროფესიულ და პრაქტიკულ კომპონენტებს. იგი ორიენტირებულია სამართლის ერთ ან რამდენიმე სფეროში სტუდენტის სპეციალიზაციაზე, პროფესიული და პრაქტიკული კომპეტენციების განვითარებასა და კომპლექსური სამართლებრივი პრობლემების ანალიზისა და გადაწყვეტის უნარის ჩამოყალიბებაზე.
5. პროგრამის პირველი ნაწილის ფარგლებში სტუდენტი ვალდებულია:
 - ა) გაიაროს პროგრამით განსაზღვრული სავალდებულო სასწავლო კურსები;
 - ბ) აირჩიოს კერძო სამართლის, სისხლის სამართლის ან საჯარო სამართლის სპეციალიზაციის მოდული და არჩეული მოდულის ფარგლებში დააგროვოს არაუმეტეს 20 ECTS კრედიტისა;
 - გ) საერთაშორისო სამართლის ინგლისურენოვანი კომპონენტიდან გაიაროს ერთ-ერთი სასწავლო კურსი;

- დ) გაიაროს 15 ECTS კრედიტის მოცულობის პრაქტიკული მოდული, ამ დებულებითა და პროგრამით განსაზღვრული წესის შესაბამისად;
- ე) დარჩენილი 10 ECTS კრედიტის ფარგლებში გაიაროს დანარჩენი ორი სპეციალიზაციის მოდულით განსაზღვრული თითო სავალდებულო, 5-კრედიტიანი სასწავლო კურსი.
6. პროგრამის მეორე ნაწილი – კვლევითი და ანალიტიკური ნაწილი – მოიცავს 30 ECTS კრედიტის მოცულობის კვლევით და მეთოდოლოგიურ კომპონენტს და 30 ECTS კრედიტის მოცულობის სამეცნიერო-კვლევით კომპონენტს – სამაგისტრო ნაშრომის შესრულებასა და დაცვას. პროგრამის მეორე ნაწილი ორიენტირებულია სტუდენტის სიღრმისეული თეორიული და ანალიტიკური ცოდნის, კვლევითი კომპეტენციებისა და კომპლექსური სამართლებრივი პრობლემების დამოუკიდებლად გაანალიზებისა და გადაწყვეტის უნარის განვითარებაზე.
7. პროგრამის პირველი ნაწილის სტანდარტული ვადის – ერთი აკადემიური წლის – ამოწურვის შემდეგ, შესაბამისი კომპონენტების სრულად აუთვისებლობის შემთხვევაში, სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის პირველი ნაწილი დაასრულოს დამატებით, არაუმეტეს ორი სემესტრის განმავლობაში.
8. პროგრამის მეორე ნაწილის სტანდარტული ვადის – ერთი აკადემიური წლის – ამოწურვის შემდეგ, შესაბამისი სასწავლო ან კვლევითი კომპონენტების სრულად აუთვისებლობის შემთხვევაში, სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის მეორე ნაწილი დაასრულოს დამატებით, არაუმეტეს ოთხი სემესტრის განმავლობაში.
9. ამ მუხლის მე-7 და მე-8 პუნქტებით გათვალისწინებული დამატებითი სემესტრების განმავლობაში სტუდენტს უნარჩუნდება სტუდენტის სტატუსი. თითოეული დამატებითი სემესტრის სწავლის საფასური განისაზღვრება სემესტრში ასათვისებელი კრედიტების რაოდენობის შესაბამისად, პროგრამისათვის დადგენილი წლიური სწავლის საფასურის პროპორციულად.

თავი IV

პრაქტიკული კომპონენტი

მუხლი 13. პრაქტიკული მოდული

1. პრაქტიკული მოდული წარმოადგენს სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის პირველი ნაწილის სავალდებულო კომპონენტს და მოიცავს 15 ECTS კრედიტს.
2. პრაქტიკული მოდულის მიზანია სტუდენტის მიერ მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება და პროფესიული საქმიანობისათვის აუცილებელი უნარების განვითარება.
3. პრაქტიკული მოდული ხორციელდება სტუდენტის მიერ ერთ-ერთი შემდეგი სასწავლო კომპონენტის გავლით:
 - ა) კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის პარტნიორ საჯარო, კერძო ან არასამეწარმეო (არაკომერციულ) ორგანიზაციაში კლინიკური სწავლება;
 - ბ) კავკასიის უნივერსიტეტის ფარგლებში მოქმედ სამართლის კლინიკაში კლინიკური სწავლება;
 - გ) „სამართლებრივი ტექსტების პროფესიული დამუშავების პრაქტიკული კურსი (პრაქტიკის ალტერნატივა)“.
4. კლინიკური სწავლება წარმოადგენს პრაქტიკაზე ორიენტირებულ სასწავლო კომპონენტს, რომლის ფარგლებშიც სტუდენტი რეალურ ან რეალობასთან მაქსიმალურად მიახლოებულ პროფესიულ გარემოში მონაწილეობს სამართლებრივი შემთხვევების განხილვაში, სამართლებრივი პრობლემების იდენტიფიცირებასა და გადაწყვეტაში, სამართლებრივი ინფორმაციის, კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის მოძიებასა და ანალიზში, დასაბუთებული სამართლებრივი პოზიციის ჩამოყალიბებაში, სამართლებრივი დოკუმენტების მომზადებასა და პროფესიულ კომუნიკაციაში.
5. სტუდენტს უფლება აქვს, კლინიკური სწავლების ნაცვლად გაიაროს „სამართლებრივი ტექსტების პროფესიული დამუშავების პრაქტიკული კურსი (პრაქტიკის ალტერნატივა)“. აღნიშნული კურსი ითვალისწინებს სხვადასხვა ტიპის სამართლებრივი ტექსტისა და დოკუმენტის პროფესიულ დამუშავებას, მომზადებასა და ანალიზს, შესაბამისი სამართლებრივი წყაროებისა და სასამართლო პრაქტიკის მოძიებას, შეფასებასა და გამოყენებას, დასაბუთებული სამართლებრივი პოზიციის ჩამოყალიბებასა და პროფესიული იურიდიული კომუნიკაციის უნარების განვითარებას.
6. სტუდენტს პრაქტიკული მოდულით გათვალისწინებული 15 ECTS კრედიტი მიენიჭება მის მიერ არჩეული სასწავლო კომპონენტის სილაბუსით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულებისა და შესაბამისი სწავლის შედეგების მიღწევის საფუძველზე.

7. პრაქტიკული მოდულის თითოეული სასწავლო კომპონენტის განხორციელების პირობები, სტუდენტის სამუშაო დატვირთვა, შესასრულებელი პრაქტიკული დავალებები, სწავლის შედეგები, შეფასების ფორმები, კომპონენტები და კრიტერიუმები განისაზღვრება შესაბამისი სილაბუსით.

მუხლი 14. პრაქტიკული მოდულის შეფასება

პრაქტიკული მოდულის ფარგლებში სტუდენტის შეფასება ხორციელდება მის მიერ არჩეული სასწავლო კომპონენტის სილაბუსით განსაზღვრული შეფასების ფორმების, კომპონენტებისა და კრიტერიუმების შესაბამისად.

შეფასება ეფუძნება სტუდენტის მიერ შესრულებულ პრაქტიკულ დავალებებსა და მომზადებულ სამართლებრივ პროდუქტებს და ადგენს, რამდენად მიაღწია სტუდენტმა შესაბამისი სასწავლო კომპონენტით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს.

პრაქტიკული მოდულით გათვალისწინებული 15 ECTS კრედიტის მინიჭების წინაპირობაა შესაბამისი სასწავლო კომპონენტის წარმატებით დასრულება და მისი სილაბუსით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა.

თავი V

სამაგისტრო ნაშრომის სათაურის დამტკიცება

მუხლი 15. კვლევითი კომპონენტის მიზანი და ელემენტები

1. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის მიზანია ჩამოუყალიბოს სტუდენტს შერჩეულ სფეროში კვლევის დამოუკიდებელად განხორციელების, მიღწეული შედეგების წარმოჩენისა და საკუთარი მსჯელობის საჯაროდ არგუმენტირებულად წარმოდგენის უნარი.
2. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტი სავალდებულო ელემენტების სახით მოიცავს სამაგისტრო ნაშრომის შესრულებასა და სამაგისტრო ნაშრომის დაცვას.

მუხლი 16. სამაგისტრო ნაშრომის თემის და ხელმძღვანელის შერჩევა

1. მაგისტრანტი სამაგისტრო ნაშრომის თემასა და ხელმძღვანელს (თანახელმძღვანელს) ირჩევს შესაბამისი სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში, პროგრამის პირველი ნაწილის დასრულებისა და მეორე ნაწილზე დაშვების შემდეგ. სამაგისტრო ნაშრომის თემა უნდა შეესაბამებოდეს სამაგისტრო პროგრამის მიმართულებას და პროგრამით გათვალისწინებული ერთ-ერთი სპეციალური მოდულის თემატიკას.
2. მაგისტრანტი სამაგისტრო ნაშრომის თემას ხელმძღვანელთან შეთანხმებით ირჩევს და სამაგისტრო პროგრამის აკადემიურ მენეჯერს წარუდგენს:
 - ა) სამაგისტრო ნაშრომის თემის განაცხადს, რომელიც მოიცავს თემის სათაურსა და ნაშრომის სავარაუდო სტრუქტურას, დანართი №1-ის შესაბამისად;
 - ბ) ხელმძღვანელის CV-ს;
 - გ) ხელმძღვანელის სარეკომენდაციო დასკვნას.თანახელმძღვანელის არსებობის შემთხვევაში წარდგენილი უნდა იქნეს აგრეთვე თანახელმძღვანელის CV და სარეკომენდაციო დასკვნა.
3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტები წარდგენილი უნდა იქნეს:
 - ა) შემოდგომის სემესტრისათვის — 1 სექტემბრიდან 10 სექტემბრის ჩათვლით;
 - ბ) გაზაფხულის სემესტრისათვის — 1 თებერვლიდან 10 თებერვლის ჩათვლით.

მუხლი 17. მაგისტრანტის სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი

1. მაგისტრანტის სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი შეიძლება იყოს:
 - ა. სამართლის დოქტორის ხარისხის მქონე უნივერსიტეტის პროფესორი, ასოცირებული პროფესორი ან ასისტენტ-პროფესორი;
 - ბ. პარტნიორი სასწავლო ან სამეცნიერო დაწესებულების სამართლის დოქტორი;
 - გ. აკადემიური ხარისხის მქონე მოწვეული სპეციალისტი
2. სამაგისტრო ნაშრომის თანახელმძღვანელი შეიძლება იყოს დარგის სპეციალისტი, რომელსაც გააჩნია სულ მცირე ბოლო სამი წლის განმავლობაში პრაქტიკული საქმიანობის გამოცდილება იმ ქვედარგში/ვიწრო სპეციალობით, რომელშიც სრულდება სამაგისტრო ნაშრომი.
3. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს ბოლო ხუთი წლის განმავლობაში გამოქვეყნებული უნდა ჰქონდეს სამეცნიერო ნაშრომი/სტატია იმ ქვედარგში, რომელშიც სრულდება სამაგისტრო ნაშრომი.

4. თუ სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი უარს აცხადებს ხელმძღვანელობაზე, იგი ვალდებულია ამის შესახებ არგუმენტირებული და დასაბუთებული განცხადებით მიმართოს სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელს, მაგრამ არა უგვიანეს თემის დამტკიცებიდან ერთი თვის განმავლობაში.
5. მაგისტრანტს უფლება აქვს სამაგისტრო ნაშრომის სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის შეცვლის შესახებ არგუმენტირებული და დასაბუთებული განცხადებით მიმართოს სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელს, მაგრამ არაუგვიანეს თემის დამტკიცებიდან ერთი თვის განმავლობაში. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი
6. მაგისტრანტისა და სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს ერთობლივი დასაბუთებული მოთხოვნით სამაგისტრო ნაშრომის დაცვამდე არაუგვიანეს ერთი სემესტრით ადრე, შეიძლება იმავე სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში შეიცვალოს სამაგისტრო ნაშრომის თემა. ამ შემთხვევაში სტუდენტი ვალდებულია განმეორებით გაიაროს სამაგისტრო ნაშრომის თემის რეგისტრაციისათვის აუცილებელი პროცედურები.
7. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი(თანახელმძღვანელი) ვალდებულია დაეხმაროს სტუდენტს თემის შერჩევაში, გეგმის შედგენასა და ბიბლიოგრაფიის დამუშავებაში, ეტაპობრივად შეამოწმოს თემაზე მუშაობის პროცესი, გამოთქვას შენიშვნები და კვლევის არასწორი მიმართულებით წარმართვის შემთხვევაში დაეხმაროს ავტორს მის კორექტირებაში, პერიოდულად მისცეს განმავითარებელი შეფასება;
8. ნაშრომის დასრულების შემდეგ სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი (თანახელმძღვანელი) ადგენს წერილობითი დასკვნას, რომელიც უნდა შეიცავდეს:
 - ა. ნაშრომის დასახელებას;
 - ბ. ავტორის ვინაობას;
 - გ. ნაშრომის მოკლე მიმოხილვას;
 - დ. ნაშრომის ძლიერი და სუსტი მხარეების აღნიშვნას შესაბამისი შენიშვნებისა და რეკომენდაციების მითითებით;
 - ე. ნაშრომისათვის დაცვაზე რეკომენდაციის მიცემა/არ მიცემის დასაბუთებას;
9. ხელმძღვანელი არ შეიძლება იყოს დაცვის კომისიის წევრი და არ მონაწილეობს სამაგისტრო ნაშრომის ქულით შეფასებასა და კომისიის გადაწყვეტილების მიღებაში. ხელმძღვანელი უფლებამოსილია დაესწროს საჯარო დაცვას და კომისიის მოთხოვნის შემთხვევაში მიაწოდოს მას ნაშრომის შესრულების პროცესთან დაკავშირებული ფაქტობრივი ინფორმაცია..
10. ნაშრომზე დასკვნის მომზადებისას გამოიყენება ამ დებულების დანართი №2-ით განსაზღვრული შეფასების კრიტერიუმები.

მუხლი 18 . მაგისტრანტის მენტორი

1. კვლევით კომპონენტზე რეგისტრაციიდან სამაგისტრო ნაშრომის საჯარო დაცვამდე მაგისტრანტს უფლება აქვს, ნაშრომის მომზადებასთან დაკავშირებულ საკითხებზე კონსულტაცია გაიაროს მენტორთან.
2. მენტორად შეიძლება შეირჩეს სამართლის დოქტორის ან მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს აკადემიური ან სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გამოცდილება და სამართლებრივი კვლევის მეთოდების, აკადემიური წერისა და ციტირების წესების სათანადო ცოდნა.
 1. მენტორის შერჩევისა და მაგისტრანტთა საკონსულტაციო საქმიანობაში ჩართვის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს კავკასიის სამართლის სკოლის დეკანი.
 2. მენტორი სემესტრის განმავლობაში ატარებს არანაკლებ სამ ერთსაათიან საკონსულტაციო შეხვედრას. შეხვედრების განრიგსა და ფორმატს მენტორთან შეთანხმებით განსაზღვრავს პროგრამის ადმინისტრაციული დირექტორი.
 3. მენტორი მაგისტრანტს კონსულტაციას უწევს კვლევის საკითხის, ნაშრომის დიზაინისა და სტრუქტურის, კვლევის მეთოდების, წყაროების მოძიებისა და შეფასების, აკადემიური წერის, ციტირებისა და აკადემიური კეთილსინდისიერების საკითხებზე.
 4. მენტორი ვალდებულია იმოქმედოს მიუკერძოებლად, დაიცვას პროფესიული ეთიკა, კონფიდენციალურობა და მაგისტრანტის აკადემიური დამოუკიდებლობა, ხოლო ინტერესთა კონფლიქტის არსებობის შემთხვევაში ამის შესახებ აცნობოს სკოლის დეკანს.

5. მენტორი არ ანაცვლებს სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს და არ მონაწილეობს ნაშრომის დაცვაზე დაშვების, რეცენზირების, შეფასებისა და დაცვის კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

8. მენტორთან კონსულტაციით სარგებლობა მაგისტრანტის უფლებაა. კონსულტაციაზე დაუსწრებლობა არ შეიძლება გახდეს ნაშრომის დაცვაზე დაუშვებლობის ან შეფასების შემცირების საფუძველი.

თავი VI

სამაგისტრო ნაშრომის მომზადება, წარდგენა და დაცვა

მუხლი 19. სამაგისტრო ნაშრომი

1. კვლევითი კომპონენტი ითვალისწინებს მაგისტრანტის მიერ ჩატარებულ დამოუკიდებელ კვლევას შესაბამისი მიმართულებით, რომლის შედეგებიც აისახება მის მიერ საჭირო ფორმით გაფორმებულ სამაგისტრო ნაშრომში. სამაგისტრო ნაშრომი უნდა წარმოადგენდეს მაგისტრანტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შედეგს.
2. ნაშრომის დაცვისას მაგისტრანტმა უნდა წარმოადგინოს მის მიერ შესრულებული სამუშაო და წარმოაჩინოს დისკუსიაში მონაწილეობის უნარი. სამაგისტრო ნაშრომი უნდა შესრულდეს ქართულ ენაზე, ორთოგრაფიული, სტილისტური და გრამატიკული შემცდომების გარეშე, წინამდებარე დებულებით დადგენილი ფორმისა და წესის მიხედვით.
3. სამაგისტრო ნაშრომის მოცულობა, ფორმატი, სტილი და სხვა ტექნიკური მონაცემები განისაზღვრება წინამდებარე დებულებით.

მუხლი 20. სამაგისტრო ნაშრომის წარდგენა, შემოწმება და საჯარო დაცვაზე დაშვება

1. სტუდენტი სამაგისტრო ნაშრომის პირველად ელექტრონულ ვერსიას, ხელმძღვანელის წერილობით დასკვნასთან ერთად, დადგენილ ვადებში წარუდგენს სამართლის სკოლის უფლებამოსილ პირს:
 - ა) შემოდგომის სემესტრში — 8 იანვრიდან 15 იანვრის ჩათვლით;
 - ბ) გაზაფხულის სემესტრში — **20 მაისიდან 31 მაისის ჩათვლით**. ჩათვლით.
2. სამართლის სკოლის უფლებამოსილი პირი ამოწმებს წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომისა და თანდართული დოკუმენტაციის ფორმალურ და ტექნიკურ შესაბამისობას ამ დებულებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან. აღნიშნული შემოწმება არ მოიცავს ნაშრომის შინაარსობრივ ან აკადემიურ შეფასებას.
3. თუ სამაგისტრო ნაშრომი ან თანდართული დოკუმენტაცია წარმოდგენილია ფორმალური ან ტექნიკური ხარვეზით, სამართლის სკოლის უფლებამოსილი პირი ამის შესახებ აცნობებს სტუდენტს და განუსაზღვრავს გონივრულ ვადას ხარვეზის აღმოსაფხვრელად. ფორმალურ ან ტექნიკურ ხარვეზად მიიჩნევა ამ დებულებით განსაზღვრული გაფორმების, ფორმატის, დოკუმენტაციის სისრულის ან წარდგენის ტექნიკური მოთხოვნის დარღვევა. ხარვეზის აღმოფხვრა არ შეიძლება გულისხმობდეს სამაგისტრო ნაშრომის შინაარსობრივ ან არსებით გადამუშავებას.
4. ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული მოთხოვნების დაკმაყოფილების შემდეგ სტუდენტი სამაგისტრო ნაშრომს ადმინისტრაციის მიერ განსაზღვრულ ვადაში ტვირთავს პლაგიატის ამოცნობის პროგრამაში.
5. სამაგისტრო ნაშრომის პლაგიატზე შემოწმება ხორციელდება უნივერსიტეტში მოქმედი „პლაგიატის ამოცნობისა და თავიდან არიდების პროგრამაში („ტურნიტინში“) სტუდენტთა ნაშრომის შემოწმების წესის“ შესაბამისად. შემოწმების შედეგებს განიხილავს ხელმძღვანელი და შესაბამის ინფორმაციას აწვდის სამართლის სკოლის უფლებამოსილ პირს.
6. სამაგისტრო ნაშრომს უნდა დაერთოს ხელმძღვანელის წერილობითი დასკვნა, რომელიც ასახავს ნაშრომზე მუშაობის პროცესში სტუდენტისათვის მიცემულ პერიოდულ განმავითარებელ შეფასებას და მზადდება დანართ №2-ით განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად.
7. ხელმძღვანელის დადებითი წერილობითი დასკვნა, პლაგიატზე შემოწმების შედეგები და ამ დებულებით განსაზღვრული სხვა მოთხოვნების შესრულება სამაგისტრო ნაშრომის შემდგომ შეფასებასა და საჯარო დაცვაზე დაშვების წინაპირობაა.
8. ამ მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრული წინაპირობების დაკმაყოფილების შემდეგ სტუდენტი სამაგისტრო ნაშრომის საბოლოო ელექტრონულ ვერსიას word-ის და PDF ფორმატში და ერთ

აკინძულ ბექდურ ეგზემპლარს წარუდგენს სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ადმინისტრაციულ დირექტორს.

9. ამ მუხლით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულების შემდეგ სამაგისტრო ნაშრომი წერილობითი შეფასებისა და რეცენზიის მომზადების მიზნით გადაეცემა რეცენზენტს ან რეცენზენტებს.
10. რეცენზენტი სამაგისტრო ნაშრომის გაცნობის შემდეგ, ამ დებულებით განსაზღვრული კრიტერიუმების საფუძველზე, ამზადებს წერილობით რეცენზიას. სამაგისტრო ნაშრომის ქულობრივი შეფასება ხორციელდება საჯარო დაცვის დასრულების შემდეგ, ამ დებულების 24-ე მუხლით განსაზღვრული წესით
11. ხელმძღვანელის უარყოფითი წერილობითი დასკვნის შემთხვევაში სამაგისტრო ნაშრომი არ დაიშვება შემდგომ შეფასებასა და საჯარო დაცვაზე, გარდა ამ მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა.
12. თუ სტუდენტი არ ეთანხმება ხელმძღვანელის უარყოფით დასკვნას, მას უფლება აქვს, დასკვნის ოფიციალურად, მათ შორის ელექტრონული ფორმით, მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში გაასაჩივროს იგი.
13. სტუდენტი უნივერსიტეტის პრეზიდენტის სახელზე წარადგენს დასაბუთებულ საჩივარს, რომელშიც მკაფიოდ უნდა მიუთითოს ხელმძღვანელის დასკვნის გასაჩივრების კონკრეტული საფუძვლები.
14. საჩივრის დასაშვებობას ამოწმებს უნივერსიტეტის პრეზიდენტი ან მის მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი პირი. საჩივარი დასაშვებია, თუ დაცულია მისი წარდგენის ვადა და მასში დასაბუთებულად და არგუმენტირებულად არის ჩამოყალიბებული ხელმძღვანელის დასკვნის გასაჩივრების საფუძვლები.
15. საჩივრის დაუშვებლად ცნობის შესახებ დასაბუთებული გადაწყვეტილება სტუდენტს წერილობით ეცნობება.
16. საჩივრის დასაშვებად ცნობის შემთხვევაში უნივერსიტეტის პრეზიდენტი ან მის მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი პირი, სამართლის სკოლის დეკანის წარდგინების საფუძველზე, ნიშნავს შესაბამისი დარგის სპეციალისტს.
17. დარგის სპეციალისტი უნდა იყოს დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი. იგი არ შეიძლება იყოს სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი, თანახელმძღვანელი ან რეცენზენტი, აგრეთვე პირი, რომელსაც სტუდენტთან, ხელმძღვანელთან, თანახელმძღვანელთან ან განსახილველ საკითხთან მიმართებით აქვს ინტერესთა კონფლიქტი.
18. ინტერესთა კონფლიქტის არსებობის შემთხვევაში დარგის სპეციალისტი ვალდებულია განაცხადოს თვითაცილება. ასეთ შემთხვევაში სხვა დარგის სპეციალისტი ინიშნება ამ მუხლით განსაზღვრული წესით.
19. სამაგისტრო ნაშრომი და ხელმძღვანელის დასკვნა დარგის სპეციალისტს გადაეცემა იმგვარად, რომ შეძლებისდაგვარად უზრუნველყოფილი იყოს სტუდენტისა და ხელმძღვანელის ვინაობის კონფიდენციალურობა.
20. დარგის სპეციალისტი შესაბამისი დოკუმენტაციის მიღებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში ამზადებს დასაბუთებულ წერილობით დასკვნას.
21. თუ ამ მუხლით განსაზღვრული წესით სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის უარყოფითი დასკვნა ძალაში დარჩება, მაგისტრანტი არ დაიშვება სამაგისტრო ნაშრომის რეცენზირებასა და საჯარო დაცვაზე და მიმდინარე სემესტრში ვერ მიიღებს კვლევითი კომპონენტის საბოლოო შეფასებას. მაგისტრანტი ვალდებულია ხელახლა გაიაროს შესაბამისი კვლევითი კომპონენტი და სამაგისტრო ნაშრომი გადაამუშაოს ამ დებულებითა და საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული წესით.
22. თუ დარგის სპეციალისტის დასკვნა დადებითია და განსხვავდება ხელმძღვანელის უარყოფითი დასკვნისაგან, სამაგისტრო ნაშრომი დაიშვება შემდგომ შეფასებასა და საჯარო დაცვაზე ამ დებულებით განსაზღვრული წესით.
23. ამ მუხლის 22-ე პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ხელმძღვანელს უფლება აქვს დაესწროს დაცვის კომისიის სხდომას სათათბირო ხმის უფლებით, თუმცა იგი არ მონაწილეობს სამაგისტრო ნაშრომის ქულით შეფასებაში.

მუხლი 21. სამაგისტრო ნაშრომის რეცენზია

1. სამაგისტრო ნაშრომის წარდგენისა და ამ დებულების მე-17 მუხლით გათვალისწინებული სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის დადებითი დასკვნის მიღების შემდეგ, სამართლის

სკოლის დეკანი, ნაშრომის ჩაბარებიდან არაუგვიანეს 10 კალენდარული დღისა, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმებით, იღებს გადაწყვეტილებას სამაგისტრო ნაშრომის რეცენზენტის დანიშვნის შესახებ.

2. სამაგისტრო ნაშრომის რეცენზენტი შეიძლება იყოს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული აქვს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამის სფეროსთან დაკავშირებული სამეცნიერო ნაშრომი. რეცენზენტი არ შეიძლება იყოს შესაბამისი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი ან თანახელმძღვანელი.
3. რეცენზენტი ვალდებულია სამაგისტრო ნაშრომის მისთვის გადაცემიდან 20 კალენდარული დღის ვადაში მოამზადოს წერილობითი რეცენზია და წარუდგინოს იგი სამართლის სკოლის ადმინისტრაციას.
4. რეცენზენტი საჯარო დაცვამდე ამზადებს წერილობით რეცენზიას ამ დებულების 24-ე მუხლის მე-4 პუნქტითა და დანართ №3-ით განსაზღვრული კრიტერიუმების საფუძველზე. წერილობით რეცენზიაში ქულა არ მიეთითება. რეცენზიაში უნდა აისახოს:
 - ა) სამაგისტრო ნაშრომის დასახელება;
 - ბ) თითოეული კრიტერიუმის მიხედვით ნაშრომის დასაბუთებული შეფასება;
 - გ) ნაშრომის ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები, შენიშვნები და რეკომენდაციები;
 - დ) დასაბუთებული დასკვნა სამაგისტრო ნაშრომის საჯარო დაცვაზე წარდგენის შესახებ.
5. რეცენზენტი სამაგისტრო ნაშრომის წერილობით ნაწილს აფასებს მაქსიმუმ 40 ქულით. აღნიშნული შეფასება წარმოადგენს სამაგისტრო ნაშრომის 100-ქულიანი შეფასების შემადგენელ ნაწილს და განისაზღვრება ამ დებულების 24-ე მუხლითა და დანართ №3-ით დადგენილი წესით.
6. რეცენზია უნდა დადასტურდეს რეცენზენტის ხელმოწერით და მასში უნდა მიეთითოს რეცენზიის მომზადების თარიღი.
7. თუ რეცენზენტი ობიექტური გარემოების, მათ შორის უბედური შემთხვევის, ავადმყოფობის ან სხვა საპატიო მიზეზის გამო, ვერ უზრუნველყოფს რეცენზიის დადგენილ ვადაში მომზადებას, სამართლის სკოლის დეკანი, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების ადმინისტრაციული დირექტორის წარდგინებითა და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმებით, ნიშნავს ახალ რეცენზენტს. ახალი რეცენზენტისთვის რეცენზიის წარდგენის ვადა აითვლება მისთვის სამაგისტრო ნაშრომის გადაცემის დღიდან.
8. რეცენზია მისი წარდგენიდან არაუგვიანეს 7 კალენდარული დღისა ეგზავნება მაგისტრანტს. მაგისტრანტს უფლება აქვს საჯარო დაცვისას წარმოადგინოს დასაბუთებული პასუხი რეცენზიაში გამოთქმულ შენიშვნებსა და შეფასებებზე.
9. რეცენზენტის დასკვნა სამაგისტრო ნაშრომის საჯარო დაცვაზე წარდგენის შესახებ არ ზღუდავს დაცვის კომისიის უფლებამოსილებას, ამ დებულებით განსაზღვრული წესით დამოუკიდებლად შეაფასოს სამაგისტრო ნაშრომის საჯარო დაცვა.

მუხლი 22. სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისია

1. სამაგისტრო ნაშრომის დაცვის თარიღს, დაცვის კომისიის შემადგენლობასა და კომისიის თავმჯდომარეს შესაბამისი სკოლის დეკანის წარდგინების საფუძველზე, ბრძანებით განსაზღვრავს უნივერსიტეტის პრეზიდენტი.
2. სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისია შედგება არანაკლებ 3 და არაუმეტეს 5 წევრისაგან.
3. სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრი შეიძლება იყოს როგორც უნივერსიტეტის პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი, აგრეთვე დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე სხვა პირი, რომელსაც ბოლო 5 წლის განმავლობაში უფიქსირდება სამეცნიერო კვლევები.
4. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი და რეცენზენტი არ შეიძლება იყვნენ დაცვის კომისიის წევრები. ხელმძღვანელი არ მონაწილეობს ნაშრომის ქულით შეფასებასა და კომისიის გადაწყვეტილების მიღებაში. რეცენზენტი ნაშრომს აფასებს ამ დებულებითა და დანართი №3-ით განსაზღვრული წესით და წერს შესაბამის ქულას, თუმცა არ მონაწილეობს დაცვის კომისიის მიერ ნაშრომის შეფასებასა და საბოლოო გადაწყვეტილების მიღებაში. ხელმძღვანელი და რეცენზენტი უფლებამოსილი არიან დაესწრონ საჯარო დაცვას და კომისიის მოთხოვნის შემთხვევაში მიაწოდონ მას განსახილველ საკითხთან დაკავშირებული ინფორმაცია.
5. დაცვის კომისიის საქმიანობას ხელმძღვანელობს კომისიის თავმჯდომარე, რომელიც წარმართავს სამაგისტრო ნაშრომის საჯარო დაცვასა და კომისიის დახურულ დასკვნით სხდომას და უზრუნველყოფს დაცვისა და შეფასების დადგენილი წესის შესაბამისად ჩატარებას.

6. დაცვის კომისიის თითოეული წევრი საჯარო დაცვას აფასებს ინდივიდუალურად. საჯარო დაცვის შეფასება გამოითვლება კომისიის წევრთა მიერ მინიჭებული ქულების საშუალო არითმეტიკულით. კომისია ორგანიზაციულ და პროცედურულ საკითხებზე გადაწყვეტილებას იღებს სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით.

7. კომისიის წევრი ვალდებულია განაცხადოს შესაბამის სამაგისტრო ნაშრომთან დაკავშირებით ინტერესთა კონფლიქტის არსებობის შესახებ. ინტერესთა კონფლიქტის არსებობის შემთხვევაში იგი არ მონაწილეობს ამ ნაშრომის დაცვასა და შეფასებაში. კომისიის წევრის ჩამოცილების შემთხვევაში დაცვა შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ ამ მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრული კვორუმის არსებობისას.

მუხლი 23. სამაგისტრო ნაშრომის დაცვა

1. მაგისტრანტი სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე დაიშვება სასწავლო და პრაქტიკული კომპონენტების სრულად შესრულების შემდეგ. სამაგისტრო ნაშრომის დაცვა საჯაროა და მისი მიმდინარეობისას მაგისტრანტი წარადგენს ნაშრომის ფარგლებში განხორციელებული კვლევის შედეგებს.

2. დაცვის პროცესი ითვალისწინებს მაგისტრანტის მიერ სამაგისტრო ნაშრომის საჯარო პრეზენტაციას დაცვის კომისიის წინაშე. საჯარო დაცვას, როგორც წესი, ესწრებიან სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი და რეცენზენტი. ხელმძღვანელის ან რეცენზენტის დაცვის პროცესში მონაწილეობის შეუძლებლობა არ აფერხებს დაცვის ჩატარებას, თუ დაცულია ამ დებულებით განსაზღვრული მოთხოვნები დაცვის კომისიის უფლებამოსილების შესახებ.

3. მაგისტრანტი, რომელიც სამაგისტრო ნაშრომის დაცვის დღეს იმყოფება საზღვარგარეთ, უფლებამოსილია განცხადებით მიმართოს კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტს და სამაგისტრო ნაშრომის პრეზენტაცია დისტანციურად, ელექტრონული პლატფორმის მეშვეობით განახორციელოს. ასეთ შემთხვევაში ნაშრომი ფასდება ამ დებულებით განსაზღვრული შეფასების წესების სრული დაცვით.

4. კომისიის სხდომის დაწყებისას სამართლის სკოლის წარმომადგენელი აცხადებს მაგისტრანტის ვინაობას, სამაგისტრო ნაშრომის თემას, ხელმძღვანელისა და რეცენზენტის ვინაობას და დამსწრე საზოგადოებას აცნობს სამაგისტრო ნაშრომის დაცვის პროცედურას.

5. პრეზენტაციისას მაგისტრანტი მოკლედ აყალიბებს ნაშრომის ძირითად დებულებებს, კვლევის ობიექტსა და გამოყენებულ მეთოდებს, მიღებულ შედეგებსა და დასკვნებს. პრეზენტაციის ხანგრძლივობა უნდა შეადგენდეს 10-დან 15 წუთამდე.

პრეზენტაციის დასრულების შემდეგ რეცენზენტი საჯაროდ წარადგენს რეცენზიას. რეცენზენტის არყოფნის შემთხვევაში რეცენზიას საჯაროდ წარადგენს დაცვის კომისიის თავმჯდომარე ან სამართლის სკოლის უფლებამოსილი წარმომადგენელი. ამის შემდეგ მაგისტრანტი პასუხობს რეცენზიაში გამოთქმულ შენიშვნებსა და რეკომენდაციებს და განმარტავს, გაითვალისწინა თუ არა ისინი. შემდგომ იმართება დისკუსია, რომლის ფარგლებშიც მაგისტრანტი პასუხობს დაცვის კომისიის წევრთა კითხვებს და წარმოადგენს საკუთარ პოზიციას.

მუხლი 24. სამაგისტრო ნაშრომის შეფასება

1. სამაგისტრო ნაშრომი ფასდება 100-ქულიანი სისტემით. ერთიანი დასკვნითი შეფასება შედგება სამაგისტრო ნაშრომის წერილობითი ნაწილისა და საჯარო დაცვის შეფასებებისაგან.

2. სამაგისტრო ნაშრომის წერილობით ნაწილს რეცენზენტი აფასებს მაქსიმუმ 40 ქულით, ხოლო საჯარო დაცვას დაცვის კომისია — მაქსიმუმ 60 ქულით.

3. სამაგისტრო ნაშრომის ერთიანი დასკვნითი შეფასება განისაზღვრება წერილობითი ნაწილისა და საჯარო დაცვის შეფასებების დაჯამებით.

4. რეცენზენტი სამაგისტრო ნაშრომის წერილობით ნაწილს მაქსიმუმ 40 ქულის ფარგლებში აფასებს შემდეგი კრიტერიუმების საფუძველზე:

ა) საკვლევი პრობლემის აქტუალობა, კვლევის მიზნისა და ძირითადი საკითხების მკაფიოდ ჩამოყალიბება — 5 ქულა;

ბ) კვლევის მეთოდოლოგიის შესაბამისობა და მისი გამოყენების დასაბუთება — 5 ქულა;

გ) ეროვნული და საერთაშორისო სამართლებრივი, სამეცნიერო და სხვა შესაბამისი წყაროების მოძიება, შერჩევა და სათანადოდ გამოყენება — 10 ქულა;

დ) საკითხის სიღრმისეული და კრიტიკული ანალიზი, არგუმენტაციის თანმიმდევრულობა და ავტორის დამოუკიდებელი პოზიციის დასაბუთება — 10 ქულა;

- ე) კვლევის შედეგების, დასკვნებისა და რეკომენდაციების დასაბუთებულობა და მათი შესაბამისობა კვლევის მიზანთან — 5 ქულა;
- ვ) აკადემიური წერის, პროფესიული ტერმინოლოგიის, ციტირებისა და ტექნიკური გაფორმების წესების დაცვა — 5 ქულა.
5. რეცენზენტი საჯარო დაცვამდე ამზადებს წერილობით დასკვნას, რომელშიც ასახავს სამაგისტრო ნაშრომის ძლიერ და გასაუმჯობესებელ მხარეებს, შენიშვნებსა და რეკომენდაციებს. რეცენზენტის დასკვნაში სამაგისტრო ნაშრომის წერილობითი ნაწილის ქულა არ მიეთითება.
6. საჯარო დაცვის დასრულების შემდეგ რეცენზენტი ამ მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული კრიტერიუმების საფუძველზე აფასებს სამაგისტრო ნაშრომის წერილობით ნაწილს. თითოეული კრიტერიუმის მიხედვით მინიჭებულ ქულასა და წერილობითი ნაწილის ჯამურ შეფასებას რეცენზენტი ასახავს შესაბამისი შეფასების ფორმაში.
7. დაცვის კომისიის თითოეული წევრი სამაგისტრო ნაშრომის საჯარო დაცვას მაქსიმუმ 60 ქულის ფარგლებში აფასებს შემდეგი კრიტერიუმების საფუძველზე:
- ა) კვლევის მიზნის, საკვლევი პრობლემისა და ძირითადი საკითხების მკაფიოდ წარმოდგენა — 10 ქულა;
- ბ) კვლევის მეთოდოლოგიისა და გამოყენებული წყაროების შერჩევის დასაბუთება — 10 ქულა;
- გ) კვლევის ძირითადი შედეგების, დასკვნებისა და რეკომენდაციების თანმიმდევრულად და დამაჯერებლად წარმოდგენა — 15 ქულა;
- დ) დაცვის კომისიის წევრების მიერ დასმულ კითხვებზე დასაბუთებული და სრულყოფილი პასუხების გაცემა — 15 ქულა;
- ე) არგუმენტაციის, პროფესიული ტერმინოლოგიისა და აკადემიური კომუნიკაციის სათანადო დონე — 5 ქულა;
- ვ) პრეზენტაციის ორგანიზება, დროის მართვა და თვალსაჩინო მასალის ეფექტიანად გამოყენება — 5 ქულა.
8. საჯარო დაცვის შეფასება განისაზღვრება დაცვის კომისიის წევრების მიერ მინიჭებული ქულების საშუალო არითმეტიკულით. რეცენზენტი საჯარო დაცვის შეფასებაში მონაწილეობას არ იღებს.
9. სამაგისტრო ნაშრომის ერთიანი დასკვნითი შეფასება გამოიხატება შემდეგი სისტემით:
- ა) (A) ფრიადი — 91–100 ქულა;
- ბ) (B) ძალიან კარგი — 81–90 ქულა;
- გ) (C) კარგი — 71–80 ქულა;
- დ) (D) დამაკმაყოფილებელი — 61–70 ქულა;
- ე) (E) საკმარისი — 51–60 ქულა;
- ვ) (FX) ვერ ჩააბარა — 41–50 ქულა;
- ზ) (F) ჩაიჭრა — 40 ქულა და ნაკლები.
10. სამაგისტრო ნაშრომი წარმატებით შესრულებულად და დაცულად ითვლება, თუ მაგისტრანტის ერთიანი დასკვნითი შეფასება შეადგენს არანაკლებ 60 ქულას.
11. ამ მუხლის მე-9 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების დიაპაზონის მიუხედავად, 51–59 ქულის მიღების შემთხვევაში სამაგისტრო ნაშრომი დაცულად არ მიიჩნევა, რადგან მაგისტრანტი ვერ აკმაყოფილებს ამ მუხლის მე-10 პუნქტით განსაზღვრულ მინიმალურ ზღვარს.
12. საჯარო დაცვის დასრულების შემდეგ დაცვის კომისია დახურულ დასკვნით სხდომაზე აჯამებს კომისიის წევრების მიერ მინიჭებულ ქულებს და განსაზღვრავს საჯარო დაცვის შეფასებას. ამავე ეტაპზე რეცენზენტი წარადგენს სამაგისტრო ნაშრომის წერილობითი ნაწილის შეფასებას. სამაგისტრო ნაშრომის ერთიან დასკვნით შეფასებას წერილობითი ნაწილისა და საჯარო დაცვის შეფასებების დაჯამებით გამოითვლის და აცხადებს სამართლის სკოლის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი.
13. თუ მაგისტრანტის ერთიანი დასკვნითი შეფასება შეადგენს 41–59 ქულას, მას უფლება აქვს, გადამუშავებული სამაგისტრო ნაშრომი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში, უნივერსიტეტში დადგენილი წესით.
14. სამაგისტრო ნაშრომის 40 ქულით ან ნაკლები ქულით შეფასების — (F) „ჩაიჭრა“ — შემთხვევაში მაგისტრანტი კარგავს იმავე სამაგისტრო ნაშრომის ხელახლა წარდგენის უფლებას.
15. ამ მუხლის მე-14 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მაგისტრანტს უფლება აქვს, შეფასების შედეგის გამოცხადებიდან 15 კალენდარული დღის განმავლობაში სამართლის სკოლის დეკანს წარუდგინოს განცხადება ახალი სამაგისტრო თემის დამტკიცების მოთხოვნით. დეკანის დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში მაგისტრანტი შესაბამის სემესტრში ხელახლა რეგისტრირდება სამაგისტრო ნაშრომის კომპონენტზე, წინამდებარე დებულებით განსაზღვრული პირობების დაცვით.

16. (F) „ჩაიჭრა“ შეფასების მიღების შემთხვევაში სამაგისტრო ნაშრომის ერთი ეგზემპლარი, რეცენზენტის დასკვნა, რეცენზენტის შეფასების ფორმა და დაცვის კომისიის წევრების წერილობითი შეფასებები შესანახად გადაეცემა უნივერსიტეტის არქივს.
17. სამაგისტრო ნაშრომის დაცვის მიმდინარეობისა და შედეგების შესახებ დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერს სხდომის მდივანი და დაცვის კომისიის წევრები. ოქმში აისახება სამაგისტრო ნაშრომის წერილობითი ნაწილის შეფასება, საჯარო დაცვის შეფასება და ერთიანი დასკვნითი შეფასება. ოქმი ინახება მაგისტრანტის პირად საქმეში.

მუხლი 25. სამაგისტრო ნაშრომის შეფასების გასაჩივრება

1. სტუდენტი უფლებამოსილია სამაგისტრო ნაშრომის შეფასება გასაჩივროს შეფასების შედეგის ოფიციალურად, მათ შორის ელექტრონული ფორმით, გაცნობიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში. დასაბუთებული საჩივარი წარედგინება უნივერსიტეტის პრეზიდენტს.
 2. გასაჩივრების საგანი შეიძლება იყოს სამაგისტრო ნაშრომის შეფასებისა და დაცვის პროცესში ამ დებულებით განსაზღვრული პროცედურის დარღვევა, წინასწარ დადგენილი შეფასების კრიტერიუმების შეუსაბამოდ გამოყენება, საბოლოო ქულის არასწორად გამოთვლა, შეფასების არასათანადო დასაბუთება, სტუდენტისათვის არათანაბარი ან არასამართლიანი პირობების შექმნა, ინტერესთა კონფლიქტი ან სხვა გარემოება, რომელმაც შესაძლოა არსებითი გავლენა მოახდინა შეფასების შედეგზე.
 3. საჩივარში უნდა მიეთითოს გასაჩივრებული შეფასება ან პროცედურული მოქმედება, გასაჩივრების კონკრეტული საფუძველი, შესაბამისი გარემოებები და სტუდენტის მოთხოვნა. საჩივარს, არსებობის შემთხვევაში, უნდა დაერთოს შესაბამისი მტკიცებულებები.
 4. საჩივრის მიღების შემდეგ მოწმდება მისი დასაშვებობა. საჩივარი დასაშვებია, თუ იგი წარდგენილია ამ მუხლით განსაზღვრულ ვადაში, აკმაყოფილებს ამ მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს და ეხება ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ საკითხს. ვადის დარღვევით წარდგენილი საჩივარი შეიძლება მიღებულ იქნეს მხოლოდ მაშინ, თუ სტუდენტი დასაბუთებს ვადის საპატიო მიზეზით გაცდენას.
 5. დასაშვებ საჩივარს განიხილავს არანაკლებ 3 (სამი) წევრისგან შემდგარი სააპელაციო კომისია, რომლის შემადგენლობას სკოლის დეკანის წარდგინებით ამტკიცებს უნივერსიტეტის პრეზიდენტი. კომისიაში აუცილებლად შედის შესაბამისი დარგის სპეციალისტი. საჭიროების შემთხვევაში, კომისიის წევრად შეიძლება მოწვევულ იქნეს სხვა საგანმანათლებლო პროგრამის, სკოლის, უნივერსიტეტის ან შესაბამისი პროფესიული სფეროს წარმომადგენელი.
 6. სააპელაციო კომისიის წევრი არ შეიძლება იყოს პირი, რომელიც მონაწილეობდა გასაჩივრებული ნაშრომის ხელმძღვანელობაში, რეცენზირებაში, საჯარო დაცვაში, შეფასებაში ან გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღებაში. კომისიის წევრს არ უნდა ჰქონდეს სტუდენტთან, ნაშრომის ხელმძღვანელთან, რეცენზენტთან ან დაცვის კომისიის წევრთან ინტერესთა კონფლიქტი. ასეთი გარემოების არსებობისას წევრი ვალდებულია განაცხადოს თვითაცილება. სტუდენტი უფლებამოსილია შესაბამისი გარემოებების მითითებით მოითხოვოს კომისიის წევრის აცილება, რომლის თაობაზეც გადაწყვეტილებას იღებს უნივერსიტეტის პრეზიდენტი.
 7. სააპელაციო კომისია არ ახორციელებს სამაგისტრო ნაშრომის ხელახალ აკადემიურ შეფასებას და არ ანაცვლებს დაცვის კომისიის პროფესიულ მსჯელობას. იგი ამოწმებს შეფასებისა და დაცვის პროცესის შესაბამისობას ამ დებულებასთან, შეფასების კრიტერიუმების გამოყენების სისწორეს, საბოლოო ქულის გამოთვლას, შეფასების დასაბუთებულობას, პროცედურულ სამართლიანობასა და ინტერესთა კონფლიქტის არსებობას.
 8. სააპელაციო კომისია უფლებამოსილია გამოითხოვოს საქმის განხილვისათვის საჭირო დოკუმენტები და წერილობითი განმარტებები, მოიწვიოს სტუდენტი, ნაშრომის ხელმძღვანელი, რეცენზენტი, დაცვის კომისიის წევრი ან სხვა შესაბამისი პირი და მათ მისცეს მოსაზრების წარდგენის შესაძლებლობა. კომისია საჩივარს განიხილავს მისი დასაშვებად ცნობიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში. საქმის სირთულის გამო ეს ვადა უნივერსიტეტის პრეზიდენტის გადაწყვეტილებით შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 10 (ათი) სამუშაო დღით, რის შესახებაც სტუდენტს ეცნობება.
- სააპელაციო კომისია უფლებამოსილია:
- ა) საჩივარი დატოვოს განუხილველად, თუ გამოვლინდა მისი დაუშვებლობის საფუძველი;
 - ბ) საჩივარი არ დააკმაყოფილოს;
 - გ) საჩივარი სრულად ან ნაწილობრივ დააკმაყოფილოს, გააუქმოს გასაჩივრებული შეფასება ან შესაბამისი პროცედურული გადაწყვეტილება და საკითხი ხელახალი განხილვისათვის დააბრუნოს;
 - დ) არსებითი დარღვევის შემთხვევაში განსაზღვროს ხელახალი შეფასების ან საჯარო დაცვის ჩატარება ახალი შემადგენლობის დაცვის კომისიის მიერ.

9. სააპელაციო კომისია შეფასებას უშუალოდ ცვლის მხოლოდ აშკარა ტექნიკური ან არითმეტიკული შეცდომის გასწორების შემთხვევაში.

10. სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილება უნდა იყოს წერილობითი და დასაბუთებული. მასში მიეთითება დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, განხილული საკითხები, გადაწყვეტილების საფუძვლები და შედეგები. გადაწყვეტილება სტუდენტს ეცნობება, მათ შორის ელექტრონული ფორმით, მიღებიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში. სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილება საბოლოოა და უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი მექანიზმების ფარგლებში შემდგომ გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

მუხლი 26. სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭება

1. სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის პირველი ნაწილის მოთხოვნების სრულად შესრულებისა და 60 ECTS კრედიტის დაგროვების შედეგად სტუდენტს ენიჭება კვალიფიკაცია — სამართლის მაგისტრი (Master of Laws — LL.M.).

2. სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მეორე ნაწილის მოთხოვნების სრულად შესრულების, დამატებით 60 ECTS კრედიტის დაგროვებისა და სამაგისტრო ნაშრომის წარმატებით დაცვის შედეგად სტუდენტს ენიჭება კვალიფიკაცია — კვლევის მაგისტრი სამართალში (Master of Research in Law).

3. პროგრამის თითოეული ნაწილის დასრულებისა და შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ კურსდამთავრებულზე გაიცემა სათანადო დიპლომი სტანდარტული დანართით.

4. კვალიფიკაციის მინიჭების საფუძველია სტუდენტის მიერ პროგრამის შესაბამისი ნაწილის მოთხოვნების სრულად შესრულება, რაც დასტურდება სამართლის სკოლის მიერ მომზადებული შესაბამისი დოკუმენტაციით.

5. კვალიფიკაციის მინიჭება და დიპლომის გაცემა ფორმდება უნივერსიტეტში დადგენილი წესით, შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილებისა და უნივერსიტეტის პრეზიდენტის სამართლებრივი აქტის საფუძველზე.

6. წარჩინების დიპლომი გაიცემა უნივერსიტეტის შესაბამისი შიდა სამართლებრივი აქტით განსაზღვრული პირობებისა და წესის დაცვით.

თავი VII

სამაგისტრო ნაშრომის მოცულობა, ფორმატი, სტილი და სხვა ტექნიკური მონაცემები

მუხლი 27. სამაგისტრო ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა

1. სამაგისტრო ნაშრომის მოცულობა უნდა იყოს არანაკლებ 50 და არაუმეტეს 60 გვერდისა. მოცულობაში იგულისხმება შესავალი, ნაშრომის ძირითადი ნაწილი და დასკვნა. სატიტულო გვერდი, განაცხადის გვერდი, ანოტაციები, სარჩევი, გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა და დანართები აღნიშნულ მოცულობაში არ ჩაითვლება.

2. სამაგისტრო ნაშრომის სტრუქტურა შედგება შემდეგი პუნქტებისაგან:

2.1. სატიტულო გვერდი;

2.2. განაცხადის გვერდი;

2.3. ანოტაცია (ქართულად და ინგლისურად);

2.4. შინაარსი (სარჩევი);

2.5. ცხრილების, გრაფიკებისა და სხვა ილუსტრაციების ჩამონათვალი (არსებობის შემთხვევაში);

2.6. შესავალი;

2.7. ტექსტის ძირითადი ნაწილი;

2.8. დასკვნა;

2.9. გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა (ბიბლიოგრაფია);

2.10. დანართები (არსებობის შემთხვევაში).

3. სამაგისტრო ნაშრომის არაუცილებელი შემადგენელი ნაწილებია:

3.1. ცხრილების, გრაფიკებისა და სხვა ილუსტრაციების ჩამონათვალი;

3.2. გამოყენებული აბრევიატურების ნუსხა;

3.3. დანართები.

4. სამაგისტრო ნაშრომი უნდა შესრულდეს A4 ფორმატის (210 × 297 მმ), არანაკლებ 80 გ/მ² სიმკვრივის ქაღალდზე. გვერდის ორიენტაცია უნდა იყოს ვერტიკალური, ხოლო ბეჭდვა — ცალმხრივი. ფოტოსურათები, ცხრილები, სქემები და სხვა ილუსტრაციები, როგორც წესი, განთავსდება A4

ფორმატის გვერდზე. უფრო დიდი ფორმატის გამოყენების აუცილებლობის შემთხვევაში შესაბამისი მასალა ნაშრომს შეიძლება დაერთოს ცალკე დანართის სახით.

6. სამაგისტრო ნაშრომის ძირითადი ტექსტი უნდა შესრულდეს Sylfaen-ის შრიფტით, 12 პუნქტის ზომით. თავის სათაური ფორმდება 14 პუნქტის ზომის მუქი შრიფტით (Bold), ხოლო ქვეთავის სათაური — 12 პუნქტის ზომის მუქი შრიფტით (Bold). თავის სათაურსა და ტექსტს შორის უნდა დარჩეს სამი ინტერვალი, ხოლო ქვეთავის სათაურსა და მის წინა და მომდევნო ტექსტს შორის — ორ-ორი ინტერვალი. შემჭიდროებული შრიფტის გამოყენება დაუშვებელია. ნაშრომი უნდა დაიბეჭდოს სათანადო ხარისხის პრინტერით.

7. სამაგისტრო ნაშრომის ყველა გვერდი უნდა დაინომროს თანმიმდევრულად. სატიტულო გვერდი საერთო ნუმერაციაში ჩაითვლება, თუმცა მასზე გვერდის ნომერი არ მიეთითება. ნაშრომის შესავალი ნაწილები ინომრება მცირე რომაული ციფრებით (i, ii, iii და ა.შ.), ხოლო შესავლიდან ნაშრომის დასრულებამდე გამოიყენება არაბული ციფრები. გვერდის ნომრის შრიფტის ზომა უნდა იყოს არანაკლებ 10 პუნქტისა. გვერდის ნომერი თავსდება გვერდის ქვედა მარჯვენა ნაწილში, ფურცლის ქვედა კიდიდან 1.3 სმ-ისა და მარჯვენა კიდიდან 2.5 სმ-ის დაშორებით. დაუშვებელია გვერდების ნუმერაციის გამეორება ან გამოტოვება.

8. სამაგისტრო ნაშრომის ძირითად ტექსტში სტრიქონებს შორის ინტერვალი უნდა იყოს 1.5. სარჩევში, ცხრილების, გრაფიკებისა და სხვა ილუსტრაციების ჩამონათვალში, ანოტაციაში, სქოლიოებსა და შენიშვნებში გამოიყენება ერთმაგი ინტერვალი. აბზაცებს შორის დამატებითი ინტერვალი არ გამოიყენება. ცხრილები, გრაფიკები და სხვა ილუსტრაციები ტექსტისგან გამოიყოფა ორ-ორი ინტერვალით.

10. სამაგისტრო ნაშრომში აბრევიატურის პირველად გამოყენებისას შესაბამისი დასახელება უნდა მიეთითოს სრულად, ხოლო მის შემდეგ ფრჩხილებში — აბრევიატურა, რომელიც შემდგომ ტექსტში იქნება გამოყენებული (მაგალითად: საქართველოს სამოქალაქო კოდექსი (შემდგომში — სსკ)). აბრევიატურის გამოყენება არ არის სავალდებულო, თუ შესაბამისი დასახელება ტექსტში მხოლოდ ერთხელ გვხვდება ან მისი შემოკლება უჩვეულო და მკითხველისთვის გაუგებარ სიმბოლოთა ერთობლიობას ქმნის.

11. სქოლიოები განთავსდება შესაბამისი გვერდის ბოლოს და დაინომრება არაბული ციფრებით, უწყვეტად, ნაშრომის დასაწყისიდან დასრულებამდე. სქოლიოს ტექსტი ფორმდება 10 პუნქტის ზომის შრიფტითა და ერთმაგი ინტერვალით. გამოყენებული წყაროების მითითება და სქოლიოების გაფორმება ხორციელდება წინამდებარე დებულების 28-ე მუხლით განსაზღვრული წესების შესაბამისად. საჭიროების შემთხვევაში სქოლიოში შეიძლება განთავსდეს ძირითად ტექსტთან დაკავშირებული განმარტება ან დამატებითი ინფორმაცია

მუხლი 28 . სქოლიოს გაფორმების წესი

1. სამართლებრივი აქტის გამოყენებისას აუცილებელია სქოლიოში მიეთითოს მისი სრული დასახელება და წყარო, რომელშიც ის გამოქვეყნდა, აგრეთვე თარიღი.
2. ლიტერატურული წყაროების გამოყენებისას აუცილებელია მიეთითოს:
 - ა. წიგნისთვის - ავტორის (ავტორების) გვარი, სახელის ინიციალი, წიგნის სათაური (უბრჭყალებოდ), ნაწილის, ტომის ნომერი (თუ საჭიროა), გამოცემის ადგილი, წელი, გვერდი (გვ.-ს გარეშე).
 - ბ. კრებულის სტატიისთვის - სტატიის ავტორის (ავტორების) გვარი, სახელის ინიციალი, სტატიის სათაური (უბრჭყალებოდ), კრებულის სახელწოდება (უბრჭყალებოდ), მითითებით, თუ ვისი რედაქციით გამოდის, ნაწილის, ტომის ნომერი (თუ საჭიროა), გამოცემის ადგილი, წელი, გვერდი (გვ.-ს გარეშე).
 - გ. ჟურნალის სტატიისთვის - სტატიის ავტორის (ავტორების) გვარი, სახელის ინიციალი, სტატიის სათაური (უბრჭყალებოდ), პერიოდიკის სახელი შემოკლებით (ჟურნ., გაზ.,) სახელწოდება (ბრჭყალებში) ნომერი, წელი (თვე, რიცხვი), გვერდი (გვ.-ს გარეშე); უცხოური წყაროების ყველა ბიბლიოგრაფიული ელემენტი უნდა მიეთითოს ორიგინალ ენაზე, ან იმ ენაზე, რომელზეც მას ეცნობა ავტორი (შესაბამისი ოფიციალური თარგმანის მითითებით).
 - დ. სქოლიოში აუცილებელია ერთიანი სისტემის დაცვა: ავტორი და ნაშრომის სათაური გამოიკვეთოს სიტყვათა სხვადასხვა დახრილობით (მაგ., ავტორი - დახრიტ, დანარჩენი ინფორმაცია - გამართულად, ასევე დახრიტ მიეთითოს ყველა გამოყენებული გვარი, მაგ., რედაქტორის), ამავე დროს, ყველა ერთეული (გარდა გვარისა და სახელის ინიციალისა) ერთმანეთისგან გამოიყოფა მძიმით და სქოლიოს ბოლოს დაისმის წერტილი.

- ✓ ივანიძე მ., ალტერნატიული სასჯელები, სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში. თბ., 2016, 342.
- ✓ შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., ხასია მ., სასჯელაღსრულების სამართალი (სახელმძღვანელო) თბ., 2014, 472.

ე. მასალა, რომელიც მოპოვებულია ინტერნეტის საშუალებით, საჭიროებს შესაბამისი ინტერნეტგვერდისა და ბოლო განახლების თარიღის მითითებას; სტატიის შემთხვევაში უნდა მიეთითოს ავტორის გვარი, სტატიის სათაური, ინტერნეტ გვერდი, თარიღი. სამკუთხედ ფრჩხილებში (<....>) მიეთითება ელექტრონული მისამართი, კვადრატულ ფრჩხილებში ([....]) კი ბოლო განახლების თარიღი.

ვ. საერთაშორისო სასამართლოსა და სხვა ქვეყნების გადაწყვეტილებებისათვის:

- Court of Justice
მაგ. Case 16/62, Van Gen en Loos, [1963] ECR 95.
- European Court of Human Right
მაგ. Kostovski v. The Netherlands, [1990] ECHR (Ser. A.), 221.
- International Court of Justice
მაგ. Maritime Delimitation and territorial Questions Between Qatar and Bahrin, [1995] ICJ Report.
- საქმეებისა და მათი გადაწყვეტილებების ტექსტში გამოიყენება ქართულად, სრულად კი ორიგინალის ენაზე შეიძლება იქვე მიეწეროს, ან სქოლიოში მიეთითოს შემდეგი თანმიმდევრობით: მხარე მხარის წინააღმდეგ, წელი, გამომქვეყნებელი ორგანო, გვერდი, სასამართლო.
მაგ. დიდი ბრიტანეთის სასამართლოებისთვის: საქმე არგელი არგელის წინააღმდეგ (Arggyll v Argyll, [1967] 1 Ch 302, 324, 332)).
- აშშ-ის სასამართლოებისთვის: საქმე ბრაუნი განათლების საბჭოს წინააღმდეგ (Brown v Board of Education, 347 US 483 (1954))

ზ. ეროვნული სასამართლოების გადაწყვეტილებებისათვის აუცილებელია ოფიციალური ეროვნული სტილის შენარჩუნება. ერთგვაროვანი ეროვნული მიდგომის არარსებობის შემთხვევაში ავტორმა უნდა იხელმძღვანელოს შემდეგი ძირითადი წესით: საქართველოს სასამართლო გადაწყვეტილებების გამოყენებისას უნდა გამოიყოს შემთხვევები - 1. გადაწყვეტილება გამოქვეყნებულია, 2. შესაძლებელია მისი გაცნობა ოფიციალურ ელექტრონულ წყაროში, 3. ხელმისაწვდომია მხოლოდ სასამართლო არქივში - და ჩამოყალიბდეს ერთიანი მიდგომები.

თ. საერთაშორისო ორგანიზაციათა დოკუმენტების დამოწმების წესი გამოიყენება იმ სტილით, რომელიც გამოყენებულია ოფიციალურად საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ (იხ. ოფიციალური ვებ-გვერდები).

ი. კონვენციები და საერთაშორისო ხელშეკრულებები მიეთითება, მაგ.: 1985 Vienna Convention for the Protection of the Ozone Layer.

კ. უცხოური ტერმინები და გამოთქმები უნდა გადმოიცეს სქოლიოში, თუ ნაშრომის უშუალო მიზანი არ არის ტერმინის წარმოშობის დადგენა.

ლ. ქართული ტექსტისთვის უნდა გამოვიყენოთ „ქვედა“ და „ზედა“ („...“) ბრჭყალები, უცხოენოვანი ტექსტისთვის - „ზედა“ („...“) ბრჭყალები.

მ. ციტირებული ტექსტის ბოლოს სასვენი ნიშნები - წერტილი, ორწერტილი, წერტილ-მძიმე, კითხვისა და ძახილის ნიშნები - დაისმის ბრჭყალის წინ, როცა ისინი ასრულებენ წინადადებას, თუ ბრჭყალის შემდეგ, კონტექსტის მიხედვით, თუ ეს ბრჭყალი ეკუთვნის ცალკეულ სიტყვას ან ფრაზას. როდესაც სიტყვასთან ერთდროულად თავს იყრის ბრჭყალი, სასვენი ნიშანი და სქოლიოს ნიშანი, უნდა დავიცვათ შემდეგი თანმიმდევრობა: 1. ბრჭყალი, 2. სასვენი ნიშანი, 3. სქოლიოს ნიშანი; ციტირებული ტექსტის (წინადადების) ბოლოს კი: 1. სასვენი ნიშანი, 2. ბრჭყალი, 3. სქოლიოს ნიშანი. ერთად არ იწერება ორი ბრჭყალი. ფრჩხილების შემთხვევაში კი შეიძლება მათი განსხვავებული ფორმების გამოყენება.

ნ. სქოლიოში იმავე წყაროზე მითითებისას, რომელიც უკვე გამოყენებული იყო, საჭიროა გამოიყოს შემდეგი შემთხვევები:

- ზუსტად წინა სქოლიოში მითითებული წყაროს ნაცვლად მიეთითება „იქვე“ . „იქვეს“ შემდეგ კი (თუ საჭიროა) მიეთითება განსხვავებული მონაცემები (ტომი, წელი, გვერდი);
- მანამდე მითითებული, მაგრამ არა წინამდებარე წყაროს გამოყენებისას უნდა მიეთითოს ამ წყაროს სრული დასახელება შესაბამისი გვერდით.
-

მუხლი 29. სამაგისტრო ნაშრომის შემადგენელი ნაწილები

1. სამაგისტრო ნაშრომის აუცილებელი შემადგენელი ნაწილებია:

ა. ფორმალური ნაწილი:

- ა.ა. სატიტულო გვერდი;
- ა.ბ. ხელმოწერების გვერდი;
- ა.გ. საავტორო უფლების გვერდი;
- ა.დ. რეზიუმე ქართულ და ინგლისურ ენებზე;
- ა.ე. სარჩევი;

ბ. შინაარსობრივი ნაწილი:

- ბ.ა. შესავალი;
- ბ.ბ. ძირითადი ტექსტი;
- ბ.გ. დასკვნა.

გ. ბიბლიოგრაფია.

2. სამაგისტრო ნაშრომის დამატებითი ნაწილებია:

- ა. ცხრილების ნუსხა;
- ბ. დანართები;

მუხლი 30 . სამაგისტრო ნაშრომის ფორმალური ნაწილი

1. სამაგისტრო ნაშრომის სატიტულო გვერდი (გარე ყდა) უნდა იყოს სტანდარტული ფორმის. იგი აუცილებლად უნდა მოიცავდეს სამაგისტრო ნაშრომის დასახელებას, ავტორისა და სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს სახელსა და გვარს ასევე, ტექსტს „სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად“, „კავკასიის უნივერსიტეტი“, „ქ. თბილისი, საქართველო“. ამ გვერდის ნომერი არის (I), თუმცა იგი არ მიეთითება (დანართი 5).
2. სატიტულო გვერდი – ივსება ქვემოთ მოყვანილი წესის მიხედვით:
 - ლოგოს ქვემოთ უნდა მიეთითოს „კავკასიის უნივერსიტეტი“
 - (შრიფტის ზომა: 14);
 - 2-3 სმ-ის დაშორებით მიეთითება სკოლა; (შრიფტის ზომა: 14);
 - 2-3 სმ-ის დაშორებით იწერება მაგისტრანტის სახელი და გვარი სახელობით ბრუნვაში (შრიფტის ზომა: 14);
 - შუა ნაწილში იწერება სამაგისტრო ნაშრომის დასახელება (შრიფტის ზომა: 16; მას არ მიეწერება სიტყვა „თემა“ და ბრჭყალებში ჩასმას არ საჭიროებს);
 - სათაურის შემდეგ იწერება სამაგისტრო პროგრამის დასახელება (შრიფტის ზომა: 14);
 - სამაგისტრო პროგრამის დასახელების ქვემოთ მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი, რომლის მოსაპოვებლად არის წარდგენილი ნაშრომი დასაცავად (შრიფტის ზომა: 14);
 - სატიტულო გვერდის მარჯვენა ქვედა მხარეს იწერება სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის, თანახელმძღვანელის – სახელი, გვარი, სამეცნიერო ხარისხი, აკადემიური თანამდებობა;
 - თავფურცლის ბოლოს, შუა ნაწილში, იწერება სამაგისტრო ნაშრომის შესრულების ადგილი, ქალაქი და წელი; (მაგ: თბილისი - 2022; შრიფტის ზომა: 14);
 - (იხილეთ ნიმუში დანართი #5)
3. სამაგისტრო ნაშრომის ხელმოწერების გვერდი (გვერდი (II)) უნდა იყოს სტანდარტული ფორმის. ნაშრომის წარმოსადგენ ვერსიის ყველა ეგზემპლარს უნდა ჰქონდეს ორიგინალი ხელმოწერები. ეს გვერდი უნდა მოიცავდეს შემდეგ ტექსტს: „კავკასიის უნივერსიტეტი“, „სამართლის სკოლა“, „ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი ვადასტურებთ, რომ გავცანით [გვარი სახელი] მიერ შესრულებულ სამაგისტრო ნაშრომს დასახელებით: [დასახელება] და ვაძლევთ რეკომენდაციას კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის საბჭოში მის განხილვას სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად“, თარიღი. იგი უნდა იყოს დამოწმებული სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს ა და ყველა რეცენზენტის ხელმოწერით.
4. სამაგისტრო ნაშრომის საავტორო უფლების გვერდი (გვერდი (III)) უნდა იყოს სტანდარტული ფორმის. სამაგისტრო ნაშრომის სტანდარტული ვერსიის ორიგინალს უნდა ჰქონდეს ავტორის ორიგინალი ხელმოწერა. აღნიშნული გვერდი განკუთვნილია იმისათვის, რომ კავკასიის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას მიაწიოს მიზნობრივი განკარგვის (არაკომერციული-საგანმანათლებლო მიზნებით გავრცელების და რეფერირების) უფლება. აღნიშნული გვერდი

უნდა მოიცავდეს ტექსტს: „კავკასიის უნივერსიტეტი“, სკოლის საბჭოში მისი წარდგენის წელს, ავტორის გვარს, სახელს, თემის დასახელებას, სკოლის დასახელებას, სამიხედო აკადემიურ ხარისხს, სხდომის ჩატარების თარიღს. იგი ასევე უნდა მოიცავდეს სტანდარტულ ტექსტებს “ინდივიდუალური პიროვნებების ან ინსტიტუტების მიერ ზემოაღნიშნული დასახელების ნაშრომის გაცნობის მიზნით მოთხოვნის შემთხვევაში მისი არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების უფლება მინიჭებული აქვს კავკასიის უნივერსიტეტს“ და „ავტორი ინარჩუნებს დანარჩენ საავტორო მომიჯნავე უფლებებს. ავტორი ირწმუნება, რომ ნაშრომში გამოყენებული საავტორო უფლებებით დაცულ მასალებზე მიღებულია შესაბამისი ნებართვა (გარდა იმ მცირე ზომის ციტატებისა, რომლებიც მოითხოვენ მხოლოდ სპეციფიურ მიმართებას ლიტერატურის ციტირებაში, როგორც ეს მიღებულია სამეცნიერო ნაშრომების შესრულებისას) და ყველა მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას.“

5. სამაგისტრო ნაშრომის რეზიუმე უნდა მოიცავდეს მის მოკლე მიმოხილვას. მასში მკაფიოდ უნდა იყოს გადმოცემული შესრულებული სამუშაოს მოკლე შინაარსი. რეზიუმე არ შეიცავს სქოლიოს, ცხრილებს, ნახაზებს, სქემებს და სხვა. რეზიუმეს მოცულობა უნდა იყოს 500-დან 800 სიტყვამდე. სკოლის საბჭოს უფლება აქვს მოახდინოს რეზიუმეს გავრცელება როგორც ნაბეჭდი, ისე ელექტრონული სახით. სტრიქონებს შორის ინტერვალი აიღება ერთი ტოლად. რეზიუმე შესრულებული უნდა იყოს ქართულ და ინგლისურ ენებზე. თუ სამაგისტრო ნაშრომი სხვა ენაზეა შესრულებული, მაშინ რეზიუმე უნდა დაერთოს ქართულ ენაზე. აუცილებელია, ინგლისურენოვან რეზიუმეს მარჯვენა მხარეს მიეთითოს მაგისტრანტის სახელი და გვარი, ხოლო შუა ნაწილში განთავსდეს თემის ზუსტი სათაური.
6. სამაგისტრო ნაშრომი უნდა შეიცავდეს სარჩევს, რომელიც ასახავს სამაგისტრო ნაშრომის სრული ტექსტის ყველა თავისა და პარაგრაფის ზუსტ დასახელებას თანმიმდევრულად მათი გვერდების ნომრის მარჯვენა მხარეს მითითებით მინდორთან. გვერდების ნუმერაცია უნდა დაიწყოს სარჩევის მომდევნო გვერდიდან თავფურცლის, განაცხადის, რეზიუმეს და შინაარსის გვერდების რაოდენობის გათვალისწინებით. გვერდები ინომრება ქვედა მარჯვენა კიდეში, არაბული ციფრებით. ინტერვალი უნდა იყოს 1. შრიფტის ზომა - 12 პუნქტი. აზრს აცხადებს შორის ინტერვალი უნდა იყოს 6-12 პუნქტი. დასაშვებია სათაურსა და გვერდის ნომერს შორის სივრცის შევსება სიმბოლოებით: „ .“, „-“, „_“.

მუხლი 31 . სამაგისტრო ნაშრომის ძირითადი ნაწილი

1. სამაგისტრო ნაშრომის ტექსტი უნდა შეიცავდეს შესავალს, ძირითად ტექსტსა და დასკვნას.
2. შესავალი სამაგისტრო ნაშრომის ზოგადი ნაწილია, რომელშიც უნდა წარმოჩნდეს საკვლევი პრობლემატიკა, განისაზღვროს კვლევის აქტუალობა, მისი მიზანი და ამოცანები, ჩამოყალიბდეს ჰიპოთეზა (ავტორისეული მეცნიერული ვარაუდი, რის დამტკიცებასაც ის კვლევის შედეგად მოელოდა), მეთოდოლოგია (გამოყენებული კვლევის მეთოდების რელევანტურობის დასაბუთებით და იმის ჩვენებით, თუ ნაშრომთან მიმართებით, რა მიზნით იქნა გამოყენებული ყოველი კონკრეტული მეთოდი). შესავალის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს ძირითადი ტექსტის მოცულობის 5%-ს.
3. შესავალი ნაწილში უნდა აისახოს:
 - თემის აქტუალობა;
 - კვლევის მიზნები;
 - კვლევის ამოცანები;
 - საკვლევი კითხვა/კითხვები და საჭიროების შემთხვევაში - ჰიპოთეზა;
 - კვლევის საგანი და ობიექტი;
 - პრობლემის კვლევის მდგომარეობა (ლიტერატურის მიმოხილვა);
 - კვლევის თეორიული ჩარჩო;
 - კვლევისათვის გამოყენებული მეთოდოლოგია და მეთოდები;
 - ნაშრომის თეორიულ-პრაქტიკული მნიშვნელობა;

რა განასხვავებს მოცემულ სამაგისტრო ნაშრომს წინა კვლევებისგან.

4. ძირითადი ტექსტი უნდა დაიწყოს თავებად /ქვეთავებად. თავები გადაინომრება თანმიმდევრულად. ქვეთავებს დაესმის თავისა და ქვეთავის ნომრები. თავის დასახელება იწერება 16/14-იანი ზომის შრიფტით. ტექსტი შეიძლება მოიცავდეს 3–6 თავს, თითოეული თავი კი 2 - 5 ქვეთავს. შესავალი, თითოეული თავი და დასკვნა უნდა დაიწყოს ახალი გვერდიდან, ხოლო ქვეთავები გაგრძელდეს იმავე გვერდზე. ძირითად ტექსტში უნდა აისახოს კვლევის თეორიული კონტექსტი და მათში განვითარებული წინააღმდეგობრივი იდეები, სადავო საკითხები, დეტალურად უნდა იქნას აღწერილი

ჩატარებული კვლევა, გამოიკვეთოს მისი შედეგები, საკუთარი მეცნიერული მიგნებები, ახალი შეხედულებები და მიდგომები.

კვლევის შედეგების განსჯის სტრუქტურა დამოკიდებულია სამაგისტრო ნაშრომის თემატიკაზე და ავტორს უფლება აქვს იგი წარმოადგინოს მისთვის სასურველი ფორმით. იგი არ არის შეზღუდული ქვეთავების რაოდენობით.

5. დასკვნა – წარმოადგენს სამაგისტრო ნაშრომის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების ნაწილს (ეთმოზა ნაშრომის საერთო მოცულობის 10%-მდე). დასკვნაში შეიძლება ჩამოყალიბებულ იქნეს შესაბამისი რეკომენდაციები. დასკვნით ნაწილში ჯამდება კვლევის შედეგები, იკვეთება ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული ღირებულება, წარმოჩნდება მეცნიერული სიახლე, განისაზღვრება რეკომენდაციები იმპლემენტაციის არეალისა და მათი გამოყენების ეფექტიანობის ჩვენებით.

მუხლი 32. ბიბლიოგრაფიის შედგენის წესი

1. ბიბლიოგრაფია სამაგისტრო ნაშრომში კონსოლიდირებული სახით უნდა იყოს წარმოდგენილი და ნუმერირებული.
2. უპირველესად უნდა განთავსდეს ქართულენოვანი ნორმატიული მასალა (მიღების თარიღის მითითებით), შემდეგ ქართულენოვანი სამეცნიერო ლიტერატურა ანბანური წესით. ქართულენოვან სამეცნიერო წყაროებს უნდა მოსდევდეს ქართულენოვანი სასამართლო გადაწყვეტილებები (უახლესიდან უძველესისკენ). ქართულენოვანი წყაროების შემდეგ იმავე თანმიმდევრობით უპირველესად განთავსდება უცხოენოვანი ნორმატიული მასალა, უცხოენოვანი სამეცნიერო წყაროები, ელექტრონული ბმულები (გადამოწმების თარიღის მითითებით) და უცხოური სასამართლო გადაწყვეტილებები. სამეცნიერო ლიტერატურის ბოლოს მიეთითება შესაბამისი გვერდები. ერთი და იმავე წყაროს ნაშრომში სხვადასხვა გვერდების მითითებით რამდენჯერმე გამოყენების შემთხვევაში, ბიბლიოგრაფიაში ერთხელ მიეთითება შესაბამისი წყარო და ყველა გვერდის ჩამონათვალი, რომელთა გამოყენებაც განხორციელდა ნაშრომში.

მუხლი 33. სამაგისტრო ნაშრომის დამატებითი ნაწილები

1. თუ სამაგისტრო ნაშრომს თან ერთვის ცხრილების, ანალიტიკური პროცედურების, დიაგრამების, სქემებისა და ილუსტრაციების ნუსხა, იგი უნდა განთავსდეს სამაგისტრო ნაშრომის შესავალ ნაწილში სარჩევის (შინაარსის) შემდეგ. ინტერვალი უნდა იყოს 1.5. აბზაცი, რომლის სიგრძეც აღემატება ერთ სტრიქონს, ინტერვალის ზომად აიღება 1. შრიფტის ზომა უნდა იყოს 12. გვერდის ნომრები უნდა განთავსდეს მარჯვენა მინდორთან. დასაშვებია სათაურსა და გვერდის ნომერს შორის სივრცის შევსება სიმბოლოებით: „...“, „—“, „_“.
2. ცხრილების, ანალიტიკური პროცედურების, დიაგრამების, სქემებისა და ილუსტრაციების შემცველობა, ადგილმდებარეობა და ფორმატირება განპირობებულია ნაშრომის სპეციფიკით. სხვა ლიტერატურული წყაროებიდან აღებული ცხრილების, ანალიტიკური პროცედურების, დიაგრამების, სქემებისა და ილუსტრაციების გამოყენებისას არ უნდა იქნას დარღვეული საავტორო უფლებები. ცხრილები, ანალიტიკური პროცედურები, დიაგრამები და სქემები აიგება შავ-თეთრად, ასევე დასაშვებია ფერადი დიაგრამებისა და ილუსტრაციების გამოყენება.
3. ცხრილების, ანალიტიკური პროცედურების, დიაგრამების, სქემებისა და ილუსტრაციების დასახელებები უნდა განთავსდეს უშუალოდ მათ თავზე ან ბოლოში. შრიფტის ზომად გამოყენებული უნდა იქნას ძირითადი ტექსტის შრიფტის ზომაზე 1 პუნქტით ნაკლები. დასაშვებია ნახევრად მუქი შრიფტის გამოყენება. ინტერვალი აიღება 1-ის ტოლი.
4. ცხრილები, ანალიტიკური პროცედურები, დიაგრამები, სქემები, ილუსტრაციები და მათი დასახელებები შეიძლება განთავსდეს როგორც ძირითად ტექსტში, ისე ცალკეულ ინდივიდუალურ გვერდზე დანართების სახით. ცხრილები, ანალიტიკური პროცედურები, დიაგრამები, სქემები და ილუსტრაციები ტექსტიდან დაცილებული უნდა იყოს 1.5-2 სმ-ით. საჭიროების შემთხვევაში, დასაშვებია ფურცლის ჰორიზონტალური ორიენტაცია. ჰორიზონტალური გვერდების მინდორი და გვერდის ნუმერაცია უნდა იყოს ვერტიკალური გვერდების ანალოგიური.
5. თუ სამაგისტრო ნაშრომს დანართების სახით თან ერთვის მონაცემთა ცხრილები, ანალიტიკური პროცედურები, დიაგრამები, სქემები და ილუსტრაციები, ისინი უნდა განთავსდეს სადისერტაციო ნაშრომში ბიბლიოგრაფიის ან გამოყენებული ლიტერატურის ნუსხის შემდეგ. ამასთან, ძირითად ტექსტში არსებული მონაცემთა ცხრილების, ანალიტიკური პროცედურების, დიაგრამების, სქემების და ილუსტრაციების ნუმერაცია წარმოებს გამჭოლად. დანართში

არსებული ცხრილების, ანალიტიკური პროცედურების, დიაგრამების, სქემების და ილუსტრაციების ნუმერაცია იწყება თავიდან.

6. სამაგისტრო ნაშრომში გამოყენებული ისეთი აბრევიატურებისათვის, რომელიც არ არის საყოველთაოდ მიღებული, სასურველია ავტორის მიერ მოცემული იქნას მათი ჩამონათვალი და ახსნა, რაც ნაშრომს ადვილად აღსაქმელს გახდის. გამოყენებული აბრევიატურების ნუსხა სამაგისტრო ნაშრომში უნდა განთავსდეს შესავალ ნაწილში სამაგისტრო ნაშრომის სარჩევის (შინაარსის) ან ცხრილების ნუსხის შემდეგ.
7. ავტორის სურვილის მიხედვით შესაძლებელია სამაგისტრო ნაშრომს დაერთოს ანბანური საძიებელი. ანბანური საძიებელი უნდა განთავსდეს სამაგისტრო ნაშრომის შესავალ ნაწილში სარჩევის (შინაარსის) ან ცხრილების ნუსხის ან გამოყენებული აბრევიატურების ნუსხის შემდეგ.
8. თუ სამაგისტრო ნაშრომში გამოყენებულია ისეთი მასალა, რომელიც დაცულია საავტორო უფლებით (მაგალითად ილუსტრაციები, სპექტრები, ნახატები და სხვა), მაშინ ავტორი ვალდებულია, მისი გამოყენების შესახებ მიიღოს ნებართვა შესაბამისი გამომცემლობისგან ან ავტორისგან. საავტორო ნებართვის შესაბამისი წერილი უნდა დაერთოს ნაშრომს დანართის სახით.
9. სამაგისტრო ნაშრომში გამოყენებული წყაროების ციტირება და გამოყენებული ლიტერატურის ნუსხის გაფორმება ხორციელდება წინამდებარე დებულების 28-ე მუხლით განსაზღვრული წესების შესაბამისად.
10. სქოლიოები განთავსდება შესაბამისი გვერდის ბოლოს და დაინომრება არაბული ციფრებით, უწყვეტად, ნაშრომის დასაწყისიდან დასრულებამდე. სქოლიოებში მიეთითება გამოყენებული წყაროები, ხოლო საჭიროების შემთხვევაში შეიძლება განთავსდეს ტექსტთან დაკავშირებული განმარტებები და დამატებითი ინფორმაცია.

მუხლი 34. პლაგიატი

1. ნაშრომში სხვათა მოსაზრებების, ფრაზებისა და წინადადებების გამოყენებას არასათანადო წესებით (ლიტერატურული წყაროს მითითების გარეშე) ეწოდება პლაგიატი.
2. პლაგიატი (plagiatus ლათ.) ნიშნავს მიტაცებულს. მეცნიერებაში პლაგიატი ეწოდება ნებისმიერ თუ უნებლიეთ, სხვისი იდეების საკუთარ იდეებად გასაღებას. ეს „იდეები“ შეიძლება იყოს ნაბეჭდი ან ელექტრონული მასალა, დაწყებული მარტივი წინადადებებითა და დამთავრებული მთელი პარაგრაფებით; ამასთან, ეს შეიძლება იყოს სტატისტიკური მონაცემები, ლაბორატორიული კვლევის შედეგები, ხელოვნების ნიმუშები და ა.შ.
3. პლაგიატის აღმოჩენის ნებისმიერ შემთხვევაში სტუდენტის მიმართ გავრცელდება დისციპლინური ღონისძიებები, რაც გათვალისწინებულია უნივერსიტეტის აკადემიური კეთილსინდისიერების კოდექსით.

თავი VIII

მაგისტრატურა პარტნიორი უნივერსიტეტის მონაწილეობით

მუხლი 35. შეთანხმება სამაგისტრო პროგრამის განხორციელებაზე

1. კავკასიის უნივერსიტეტი უფლებამოსილია საქართველოში ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ან/და უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ერთობლივად განახორციელოს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა.
2. სამაგისტრო პროგრამის განხორციელება პარტნიორი უნივერსიტეტის მონაწილეობით წესრიგდება ამ უნივერსიტეტთან დადებული ხელშეკრულებით და საქართველოსა და პარტნიორი უნივერსიტეტის კანონმდებლობის შესაბამისად.
3. უნივერსიტეტთაშორისი თანამშრომლობის ფორმებია:
 - ა. ერთობლივი სწავლების ორგანიზება;
 - ბ. მაგისტრანტის თანახელმძღვანელობა;
 - გ. მიღებული განათლების აღიარება;
 - დ. ერთობლივი ხარისხის მინიჭება.

მუხლი 36. განცხადება მაგისტრატურაში ჩარიცხვის შესახებ

პარტნიორი უნივერსიტეტის მონაწილეობის შემთხვევაში მაგისტრატურაში ჩარიცხვის კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს ორივე უნივერსიტეტის მაგისტრატურაში მიღების

წინაპირობებს, რომელიც განისაზღვრება ხელშეკრულებით ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის განხორციელების შესახებ.

თავი IX დაფინანსება

მუხლი 37. დაფინანსების წყაროები

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფისათვის საჭირო თანხები გათვალისწინებულია კავკასიის უნივერსიტეტის ბიუჯეტში.

თავი X მოზილობა

მუხლი 38. მოზილობა მაგისტრატურაში

1. სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე გარე და შიდა მოზილობა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესით.
2. მოზილობის მსურველი პირის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობა და შესაბამისი კრედიტების აღიარება განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტების შესაბამისად.
3. მოზილობით ჩარიცხული სტუდენტის მიერ პროგრამის მეორე ნაწილზე სწავლის გაგრძელება დასაშვებია მხოლოდ საგანმანათლებლო პროგრამითა და წინამდებარე დებულებით განსაზღვრული დაშვების წინაპირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში.

თავი XI გარდამავალი და დასკვნითი დებულებები

მუხლი 39. გარდამავალი დებულებები

1. ამ დებულებას არ აქვს უკუქცევითი ძალა და იგი არ ვრცელდება მის ამოქმედებამდე წარმოშობილ და დასრულებულ სამართლებრივ ურთიერთობებზე. ამ დებულების ამოქმედებამდე მოპოვებული კრედიტები, მიღებული შეფასებები და შესრულებული სასწავლო, პრაქტიკული ან კვლევითი კომპონენტები ინარჩუნებს ძალას.
2. ამ დებულებით განსაზღვრული ახალი წესი შეიძლება გავრცელდეს მის ამოქმედებამდე ჩარიცხულ სტუდენტზეც, თუ იგი აუმაღლებს სტუდენტის სამართლებრივ მდგომარეობას, არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობასა და საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნებს და არ ლახავს სხვა პირთა უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს.
3. საგანმანათლებლო პროგრამის განახლებული სტრუქტურა ამ დებულების ამოქმედებამდე ჩარიცხულ სტუდენტზე ვრცელდება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით. სხვა შემთხვევაში, განახლებული სტრუქტურის გავრცელება დასაშვებია სტუდენტის თანხმობით, მის მიერ მოპოვებული კრედიტების, მიღებული შეფასებებისა და მიღწეული სწავლის შედეგების სრულად აღიარების პირობით.

მუხლი 40. დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე დებულების დამტკიცება, ისევე როგორც მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა, ხორციელდება კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტის ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული აქტით.
2. წინამდებარე დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ წინადადების დასმის უფლება აქვს სამართლის სკოლის დეკანს ან სამართლის სკოლის საბჭოს ნებისმიერ წევრს. დასაბუთებულ წინადადებას განიხილავს სკოლის საბჭო უახლოეს სხდომაზე. დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, სამართლის სკოლის დეკანი სკოლის საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას განსახილველად წარუდგენს კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტს.
3. წინამდებარე დებულება ამოქმედდეს მისი ძალაში შესვლის შესახებ ბრძანების ხელმოწერისთანავე.

კავკასიის უნივერსიტეტი
სამართლის სკოლა
სამაგისტრო ნაშრომის თემისა და ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის განაცხადი

სამაგისტრო პროგრამა	
სპეციალიზაციის მოდული	☐ კერძო სამართალი ☐ სისხლის სამართალი ☐ საჯარო სამართალი
სტუდენტის სახელი, გვარი	
სამაგისტრო ნაშრომის სათაური	
ხელმძღვანელის სახელი, გვარი	
ხელმძღვანელის აკადემიური ხარისხი/თანამდებობა	
ხელმძღვანელის სტატუსი	☐ კავკასიის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი ☐ მოწვეული სპეციალისტი ☐ პარტნიორი დაწესებულების წარმომადგენელი
თანახელმძღვანელის სახელი, გვარი (არსებობის შემთხვევაში)	
თანახელმძღვანელის კვალიფიკაცია/პრაქტიკული გამოცდილება	

თემის სავარაუდო სტრუქტურა:

ხელმძღვანელის თანხმობა

☐ თანახმა ვარ, ვუხელმძღვანელო სტუდენტს სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პროცესში.

ხელმძღვანელის ხელმოწერა		თარიღი	___ / ___ / ___
-------------------------	--	--------	-----------------

თანახელმძღვანელის თანხმობა (არსებობის შემთხვევაში)

☐ თანახმა ვარ, თანახელმძღვანელობა გავუწიო სტუდენტს სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პროცესში.

თანახელმძღვანელის ხელმოწერა		თარიღი	___ / ___ / ___
-----------------------------	--	--------	-----------------

სტუდენტის ხელმოწერა: _____ თარიღი: ___ / ___ / ___

სამართლის სკოლა
სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის დასკვნა

ნაშრომის ავტორი	
სამაგისტრო ნაშრომის სათაური	
ხელმძღვანელი	
თანახელმძღვანელი (არსებობის შემთხვევაში)	

1. ნაშრომის მოკლე მიმოხილვა

2. ნაშრომზე მუშაობის პროცესში სტუდენტისათვის მიცემული პერიოდული განმავითარებელი შეფასება

3. ნაშრომის ძლიერი მხარეები

4. ნაშრომის გასაუმჯობესებელი მხარეები, შენიშვნები და რეკომენდაციები

5. დასაბუთებული დასკვნა საჯარო დაცვაზე წარდგენის შესახებ

☐ ვაძლევ რეკომენდაციას სამაგისტრო ნაშრომის შემდგომ შეფასებასა და საჯარო დაცვაზე წარდგენას.

☐ არ ვაძლევ რეკომენდაციას სამაგისტრო ნაშრომის შემდგომ შეფასებასა და საჯარო დაცვაზე წარდგენას.

დასაბუთება:

ხელმძღვანელის სახელი, გვარი	
-----------------------------	--

ხელმძღვანელის ხელმოწერა	
თანახელმძღვანელის სახელი, გვარი და ხელმოწერა (არსებობის შემთხვევაში)	
დასკვნის მომზადების თარიღი	___ / ___ / ____

შენიშვნა: ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის დასკვნა არ შეიცავს ქულობრივ შეფასებას.

კავკასიის უნივერსიტეტი
სამართლის სკოლა
სამაგისტრო ნაშრომის რეცენზენტის დასკვნისა და წერილობითი ნაწილის
შეფასების ფორმა

სამაგისტრო ნაშრომის სათაური	
რეცენზენტი	
რეცენზენტის აკადემიური ხარისხი/თანამდებობა	

I. წერილობითი რეცენზია (ივსება საჯარო დაცვამდე)

1. საკვლევი პრობლემის აქტუალობა, კვლევის მიზნისა და ძირითადი საკითხების მკაფიოდ ჩამოყალიბება

2. კვლევის მეთოდოლოგიის შესაბამისობა და მისი გამოყენების დასაბუთება

3. ეროვნული და საერთაშორისო სამართლებრივი, სამეცნიერო და სხვა შესაბამისი წყაროების მოძიება, შერჩევა და სათანადოდ გამოყენება

4. საკითხის სიღრმისეული და კრიტიკული ანალიზი, არგუმენტაციის თანმიმდევრულობა და ავტორის დამოუკიდებელი პოზიციის დასაბუთება

5. კვლევის შედეგების, დასკვნებისა და რეკომენდაციების დასაბუთებულობა და მათი შესაბამისობა კვლევის მიზანთან

6. აკადემიური წერის, პროფესიული ტერმინოლოგიის, ციტირებისა და ტექნიკური გაფორმების წესების დაცვა

ნაშრომის ძირითადი ძლიერი მხარეები

ნაშრომის ხარვეზები, შენიშვნები და რეკომენდაციები

დასაბუთებული დასკვნა საჯარო დაცვაზე წარდგენის შესახებ

- ☐ მიზანშეწონილია ნაშრომის საჯარო დაცვაზე წარდგენა.
- ☐ მიზანშეწონილი არ არის ნაშრომის საჯარო დაცვაზე წარდგენა.

დასაბუთება:

რეცენზენტის ხელმოწერა		რეცენზიის თარიღი	___ / ___ / ____
--------------------------	--	---------------------	------------------

შენიშვნა: წერილობით რეცენზიაში ქულა არ მიეთითება.

II. სამაგისტრო ნაშრომის წერილობითი ნაწილის ქულობრივი შეფასება (ივსება საჯარო დაცვის დასრულების შემდეგ)

ნაშრომის ავტორი	
სამაგისტრო ნაშრომის სათაური	
რეცენზენტი	
რეცენზენტის აკადემიური ხარისხი/თანამდებობა	

№	შეფასების კრიტერიუმი	მაქსიმალური ქულა	მინიჭებული ქულა
1	1. საკვლევი პრობლემის აქტუალობა, კვლევის მიზნისა და ძირითადი საკითხების მკაფიოდ ჩამოყალიბება	5	
2	2. კვლევის მეთოდოლოგიის შესაბამისობა და მისი გამოყენების დასაბუთება	5	
3	3. ეროვნული და საერთაშორისო სამართლებრივი, სამეცნიერო და სხვა შესაბამისი წყაროების მოძიება, შერჩევა და სათანადოდ გამოყენება	10	
4	4. საკითხის სიღრმისეული და კრიტიკული ანალიზი, არგუმენტაციის თანმიმდევრულობა და ავტორის დამოუკიდებელი პოზიციის დასაბუთება	10	
5	5. კვლევის შედეგების, დასკვნებისა და რეკომენდაციების დასაბუთებულობა და მათი შესაბამისობა კვლევის მიზანთან	5	
6	6. აკადემიური წერის, პროფესიული ტერმინოლოგიის, ციტირებისა და ტექნიკური გაფორმების წესების დაცვა	5	
	ჯამური შეფასება	40	
რეცენზენტის ხელმოწერა		შეფასების თარიღი	___/___/___

წერილობითი ნაწილის შეფასების რუბრიკა

1. საკვლევი პრობლემის აქტუალობა, კვლევის მიზნისა და ძირითადი საკითხების მკაფიოდ ჩამოყალიბება — მაქსიმუმ 5 ქულა

ქულა	შეფასების აღწერა
5	საკვლევი პრობლემის აქტუალობა დამაჯერებლად დასაბუთებული; კვლევის მიზანი ზუსტადაა განსაზღვრული, ხოლო ძირითადი საკითხები მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და სრულად შეესაბამება მიზანს.
4	საკვლევი პრობლემის აქტუალობა სათანადოდაა დასაბუთებული; კვლევის მიზანი და ძირითადი საკითხები მკაფიოდაა ჩამოყალიბებული, თუმცა ერთ-ერთი ელემენტი მცირე დაზუსტებას საჭიროებს.
3	საკვლევი პრობლემის აქტუალობა, კვლევის მიზანი და ძირითადი საკითხები ძირითადად გასაგებია, თუმცა მათი დასაბუთება, ფორმულირება ან ურთიერთკავშირი ნაწილობრივ არასრულია.
2	საკვლევი პრობლემის აქტუალობა მხოლოდ ზოგადაა დასაბუთებული; კვლევის მიზანი ან ძირითადი საკითხები ბუნდოვნადაა ჩამოყალიბებული და მათ შორის კავშირი სათანადოდ არ იკვეთება.
1	კრიტერიუმით გათვალისწინებული ელემენტებიდან მხოლოდ ერთი ან რამდენიმეა ფორმალურად ნახსენები; მათი შინაარსი და ურთიერთკავშირი არ არის განმარტებული.
0	საკვლევი პრობლემის აქტუალობა, კვლევის მიზანი და ძირითადი საკითხები არ არის წარმოდგენილი.

2. კვლევის მეთოდოლოგიის შესაბამისობა და მისი გამოყენების დასაბუთება — მაქსიმუმ 5 ქულა

ქულა	შეფასების აღწერა
5	შერჩეული კვლევის მეთოდოლოგია სრულად შეესაბამება კვლევის მიზანსა და ძირითად საკითხებს; თითოეული მეთოდის არჩევანი დასაბუთებულია და მეთოდები კვლევაში თანმიმდევრულად და სწორადაა გამოყენებული.
4	შერჩეული კვლევის მეთოდოლოგია შეესაბამება კვლევის მიზანსა და ძირითად საკითხებს; მეთოდების არჩევანი და გამოყენება სათანადოდაა დასაბუთებული, თუმცა მცირე დაზუსტებას საჭიროებს.
3	კვლევის მეთოდოლოგია ძირითადად შესაბამისია, თუმცა ცალკეული მეთოდის არჩევანი არასრულადაა დასაბუთებული ან მისი გამოყენება ბოლომდე თანმიმდევრული არ არის.
2	შერჩეული მეთოდოლოგიის შესაბამისობა კვლევის მიზანთან მხოლოდ ნაწილობრივ იკვეთება; მეთოდების არჩევანი და გამოყენება არასაკმარისადაა დასაბუთებული.
1	კვლევის მეთოდები მხოლოდ დასახელებულია ან უმეტესად შეუსაბამოდ და არათანმიმდევრულადაა გამოყენებული; მათი არჩევანი დასაბუთებული არ არის.
0	კვლევის მეთოდოლოგია არ არის წარმოდგენილი ან შერჩეული მეთოდები კვლევის მიზანსა და ძირითად საკითხებს არ შეესაბამება.

3. შესაბამისი წყაროების მოძიება, შერჩევა და სათანადოდ გამოყენება — მაქსიმუმ 10 ქულა

ქულა	შეფასების აღწერა
10	მოძიებული და გამოყენებულია კვლევის თემისთვის რელევანტური, სანდო, მრავალფეროვანი და თანამედროვე ეროვნული და საერთაშორისო წყაროები;

ქულა	შეფასების აღწერა
	მათი შერჩევა გააზრებულია, შეფასება კრიტიკულია და კვლევაში გამოყენება — მიზნობრივი.
9	წყაროთა ბაზა რელევანტური, სანდო და მრავალფეროვანია; ეროვნული და საერთაშორისო წყაროები სათანადოდაა შერჩეული, შეფასებული და კვლევაში გამოყენებული, თუმცა გვხვდება ერთი უმნიშვნელო ხარვეზი.
8	წყაროთა ბაზა საკმარისი და მრავალფეროვანია; ძირითადი ეროვნული და საერთაშორისო წყაროები სათანადოდაა გამოყენებული, თუმცა რამდენიმე წყაროს კრიტიკული შეფასება ან კვლევაში ინტეგრირება მცირე გაუმჯობესებას საჭიროებს.
7	მოდებული და გამოყენებულია ძირითადი ეროვნული და საერთაშორისო წყაროები, თუმცა წყაროთა მრავალფეროვნება, განახლებულობა ან კვლევაში ინტეგრირება ცალკეულ ნაწილებში შეზღუდულია.
6	გამოყენებულია კვლევისთვის აუცილებელი წყაროების უმეტესობა, თუმცა რამდენიმე მნიშვნელოვანი წყარო გამოტოვებულია ან გამოყენებული მასალა ძირითადად აღწერით დონეზეა დამუშავებული.
5	წყაროთა ბაზა მინიმალურად საკმარისია, მაგრამ აკლია მნიშვნელოვანი ეროვნული ან საერთაშორისო წყაროები; მათი შერჩევისა და გამოყენების ხარისხი არათანაბარია.
4	გამოყენებულია შეზღუდული რაოდენობის წყაროები; მნიშვნელოვანი წყაროების ნაწილი გამოტოვებულია, ხოლო გამოყენებული მასალის კავშირი კვლევის მსჯელობასთან სუსტია.
3	წყაროთა ბაზა არასაკმარისი და ფრაგმენტულია; გამოყენებული წყაროები მხოლოდ ნაწილობრივ შეესაბამება კვლევის საკითხებს და უმეტესად ზედაპირულადაა დამუშავებული.
2	გამოყენებულია მხოლოდ რამდენიმე წყარო, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი ნაკლებად რელევანტური, არასანდო ან მოძველებულია; კვლევის საკითხებთან მათი კავშირი ბუნდოვანია.
1	წყაროები შემთხვევითადაა შერჩეული და კვლევის საკითხებს არსებითად არ შეესაბამება; მათი სათანადო გამოყენება არ იკვეთება.
0	კვლევის შესაბამისი წყაროები არ არის მოძიებული ან გამოყენებული.

4. სიღრმისეული და კრიტიკული ანალიზი, თანმიმდევრული არგუმენტაცია და დამოუკიდებელი პოზიცია — მაქსიმუმ 10 ქულა

ქულა	შეფასების აღწერა
10	საკითხი სიღრმისეულად და კრიტიკულადაა გაანალიზებული; მსჯელობა თანმიმდევრული, ლოგიკური და დამაჯერებელია, ხოლო ავტორის

ქულა	შეფასების აღწერა
	დამოუკიდებელი პოზიცია მკაფიოდ და საფუძვლიანადაა დასაბუთებული.
9	ანალიზი სიღრმისეული და კრიტიკულია; არგუმენტაცია გამართულია და ავტორის დამოუკიდებელი პოზიცია დამაჯერებლად დასაბუთებული; მხოლოდ ერთი უმნიშვნელო მსჯელობა საჭიროებს დაზუსტებას.
8	ანალიზი და არგუმენტაცია მაღალი ხარისხისაა; ავტორის დამოუკიდებელი პოზიცია მკაფიოა, თუმცა რამდენიმე მსჯელობა საჭიროებს მცირე გაღრმავებას ან უკეთ დაკავშირებას.
7	ანალიზი ძირითადად კრიტიკული და თანმიმდევრულია; ავტორის დამოუკიდებელი პოზიცია იკვეთება, თუმცა ცალკეულ ნაწილებში არგუმენტაციას აკლია სიღრმე ან დამაჯერებლობა.
6	ანალიზი ძირითადად სწორია, თუმცა ნაწილობრივ აღწერითია; არგუმენტაცია ზოგადად თანმიმდევრულია, ხოლო ავტორის დამოუკიდებელი პოზიცია არასრულადაა განვითარებული.
5	ანალიზი და არგუმენტაცია კვლევის მინიმალურ მოთხოვნებს აკმაყოფილებს, თუმცა მნიშვნელოვანი მსჯელობები ზედაპირულია და ავტორის დამოუკიდებელი პოზიცია შეზღუდულად იკვეთება.
4	ანალიზი ზედაპირული და ფრაგმენტულია; არგუმენტებს შორის ლოგიკური კავშირი სუსტია, ხოლო ავტორის დამოუკიდებელი პოზიცია არასაკმარისადაა ჩამოყალიბებული.
3	მსჯელობა უმეტესად აღწერითი და არათანმიმდევრულია; არგუმენტები სუსტადაა დასაბუთებული და ავტორის დამოუკიდებელი პოზიცია მხოლოდ ცალკეულ ნაწილებში ჩანს.
2	საკითხის განხილვა თითქმის მთლიანად აღწერითია; მსჯელობა დაუსაბუთებელი ან წინააღმდეგობრივია და ავტორის დამოუკიდებელი პოზიცია პრაქტიკულად არ იკვეთება.
1	წარმოდგენილია მხოლოდ ცალკეული, ერთმანეთთან დაუკავშირებელი მოსაზრებები; კრიტიკული ანალიზი, დასაბუთებული არგუმენტაცია და ავტორის დამოუკიდებელი პოზიცია არ იკვეთება.
0	საკითხის ანალიზი, არგუმენტაცია და ავტორის დამოუკიდებელი პოზიცია არ არის წარმოდგენილი.

5. კვლევის შედეგების, დასკვნებისა და რეკომენდაციების დასაბუთებულობა და კვლევის მიზანთან შესაბამისობა — მაქსიმუმ 5 ქულა

ქულა	შეფასების აღწერა
5	კვლევის შედეგები, დასკვნები და რეკომენდაციები სრულად გამომდინარეობს ჩატარებული კვლევიდან, სათანადოდაა დასაბუთებული და ზუსტად შეესაბამება კვლევის მიზანს.

4	კვლევის შედეგები, დასკვნები და რეკომენდაციები დასაბუთებულია და კვლევის მიზანს შეესაბამება, თუმცა ერთი ელემენტი მცირე დაზუსტებას საჭიროებს.
3	ძირითადი შედეგები და დასკვნები კვლევიდან გამომდინარეობს, თუმცა მათი ნაწილი არასრულადაა დასაბუთებული ან ცალკეული რეკომენდაციის კავშირი კვლევის მიზანთან მკაფიო არ არის.
2	შედეგები, დასკვნები ან რეკომენდაციები მხოლოდ ნაწილობრივ გამომდინარეობს კვლევიდან; მათი დასაბუთება არასაკმარისია და კვლევის მიზანთან შესაბამისობა სუსტად იკვეთება.
1	წარმოდგენილია ფრაგმენტული და ძირითადად დაუსაბუთებელი შედეგები, დასკვნები ან რეკომენდაციები, რომლებიც კვლევის მიზანს არსებითად არ უკავშირდება.
0	კვლევის შედეგები, დასკვნები და რეკომენდაციები არ არის წარმოდგენილი.

6. აკადემიური წერა, პროფესიული ტერმინოლოგია, ციტირება და ტექნიკური გაფორმება — მაქსიმუმ 5 ქულა

ქულა	შეფასების აღწერა
5	ნაშრომი აკადემიური სტილითაა დაწერილი; პროფესიული ტერმინოლოგია ზუსტად და თანმიმდევრულადაა გამოყენებული, ხოლო ციტირებისა და ტექნიკური გაფორმების წესები სრულადაა დაცული.
4	აკადემიური წერის, პროფესიული ტერმინოლოგიის, ციტირებისა და ტექნიკური გაფორმების წესები დაცულია; გვხვდება მხოლოდ რამდენიმე უმნიშვნელო ხარვეზი.
3	ნაშრომი ძირითადად აკადემიური სტილითაა დაწერილი და ტერმინოლოგია მეტწილად სწორია, თუმცა ციტირებასა ან ტექნიკურ გაფორმებაში რამდენიმე შესამჩნევი ხარვეზია.
2	აკადემიური წერისა და პროფესიული ტერმინოლოგიის მოთხოვნები ნაწილობრივაა დაცული; ციტირებისა და ტექნიკური გაფორმების ხარვეზები სისტემურია, თუმცა ტექსტის გაგებას არსებითად არ აფერხებს.
1	ნაშრომის ენა და ტერმინოლოგია ხშირად არაზუსტია; ციტირებისა და ტექნიკური გაფორმების წესები უმეტესად დარღვეულია და ეს ტექსტის აღქმას მნიშვნელოვნად ართულებს.
0	ნაშრომი არ აკმაყოფილებს აკადემიური წერის ძირითად მოთხოვნებს; პროფესიული ტერმინოლოგიის, ციტირებისა და ტექნიკური გაფორმების წესები არ არის დაცული.

კავკასიის უნივერსიტეტი
სამართლის სკოლა
სამაგისტრო ნაშრომის საჯარო დაცვის შეფასების ფორმა

სტუდენტის სახელი, გვარი			
სამაგისტრო ნაშრომის სათაური			
დაცვის კომისიის წევრის სახელი, გვარი			
აკადემიური ხარისხი/თანამდებობა			
№	შეფასების კრიტერიუმი	მაქსიმალური ქულა	მინიჭებული ქულა
1	კვლევის მიზნის, საკვლევი პრობლემისა და ძირითადი საკითხების მკაფიოდ წარმოდგენა	10	
2	კვლევის მეთოდოლოგიისა და გამოყენებული წყაროების შერჩევის დასაბუთება	10	
3	კვლევის ძირითადი შედეგების, დასკვნებისა და რეკომენდაციების თანმიმდევრულად და დამაჯერებლად წარმოდგენა	15	
4	დაცვის კომისიის წევრების მიერ დასმულ კითხვებზე დასაბუთებული და სრულყოფილი პასუხების გაცემა	15	
5	არგუმენტაციის, პროფესიული ტერმინოლოგიისა და აკადემიური კომუნიკაციის სათანადო დონე	5	
6	პრეზენტაციის სტრუქტურა, დროის მართვა და თვალსაჩინო მასალის მიზნობრივად გამოყენება	5	
	ჯამური შეფასება	60	
კომისიის წევრის ხელმოწერა		თარიღი	___ / ___ / ____

საჯარო დაცვის შეფასების რუბრიკა

1. კვლევის მიზნის, საკვლევი პრობლემისა და ძირითადი საკითხების მკაფიოდ წარმოდგენა — მაქსიმუმ 10 ქულა

ქულა	შეფასების აღწერა
10	კვლევის მიზანი, საკვლევი პრობლემა და ძირითადი საკითხები სრულად, ზუსტად და მკაფიოდ არის

ქულა	შეფასების აღწერა
	წარმოდგენილი; მათ შორის ლოგიკური კავშირი ნათლად იკვეთება.
9	კვლევის მიზანი, საკვლევი პრობლემა და ძირითადი საკითხები მკაფიოდ და თანმიმდევრულად არის წარმოდგენილი; მხოლოდ ერთი უმნიშვნელო საკითხი საჭიროებს დაზუსტებას.
